140



ივნისი, 1911 წ.

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი ციცუნიას ეშმაკობა 322
II ტყეში გ. ქუჩიშვილისა 323
III ტოროლას დედობრივი გრძნობა 324
IV ძველი თქმულება ტასოსი 325
V იშვიათი ფრინველი ა. ფ. 328
VI მზეთუნახავი, ზღაპარი გაგონილი ზემო იმერეთში
და ჩაწერილი ნ. ვაჩნაძის მიერ 331
VII მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი (შემდეგი)
თარგ. ფრანგულიდან ედ. დემოლდონ-წერეთლისა . . 336
VIII წვრილმანი: გამოცანები 344

IX დევ-გმირი ქალის სათამაშო ლექსათ იდ. ფეფრაძესი . 346
X ბეერი და ულფი ნორვეგიის მიყრუებულ მთებში
თარგმ. ი. არ—ძე 349
XI ალექსანდრე მაკედონელი, ბიოგრაფია (შემდეგი იქ-
ნება) ივ. გომართელისა 356
XII ბიძიას ნაამბობი ალ. ნათაძესი 364
XIII უჩინარი და ნეკის ტოლა მცენარეები ლუნკევიჩისა
თარგმანი იტა ნაკაშიძისა 370
XIV ჯეკი. ცეცხლის მჭრობელი რაზმის ძაღლი (შემდეგი)
თარგმანი ეკ. მესხისა 374

მიიღება ხელის მოწერა 1911 წ.

ამ **1911** წ. სულის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრათ ორი წიგნი.

1) **ღვთის წყალობა** დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

2) **საყმაწვილო ამბების კრებული** სურათებით.

„ჯეჯილის“ რედ—ში იყიდება ძემდეგი ახალი გამოცემა:

„ცხოველების გამჭრიახობა“ . . . . . 25 კ.
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . . 12 კ.
„საქართველოს ისტორია“, ორი ქართით ს. გორგაძისა . 20 კ.



საუმაწვილო, ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ივნისი, 1911

✦ წელიწადი მეოცდათორე ✦

№ 941/ა

თბილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1911

№ 12. ციცუნიას ეშმაკობა.



ტეეში.

ელმა ნიავმა დაჭქროლა,
ფოთლები შეაშრიალა,
სათუთი თრთოლით, კანკალით
დაგორდა ცრემლი ცქრიალა;

დაგორდა და ძირს ყვავილებს
ზედ დაეფრქვია ნამათა,
გაუხალისა სიცოცხლე
ერთი ორათ და სამათა.

ტეის თმა-ხუჭუჭა ბუჩქებში
წყარო მიიმღერს, ღიღინებს,
ზურმუხტი კიდე-ნაპირი
სარობს და ლაღათ ბიბინებს.

თქვენც ხომ ბუნების შვილნი სართ
ყვავილნო გაზაფხულისა,
მაშ, რაღას უცდით? — იხარეთ,
ბავშვებო, თქვენი გულისა.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოროლას დედობრივი გრძნობა.

ერთ კაცს ჰყვანდა ახალგაზრდა დედა-ტოროლა. მას მოჰგვარეს სავსე ბუდე ახალი გამოჩეკილი ტოროლას ბარტყებით.

დედა-ტოროლამ ძალიან შეიყვარა ბარტყები. დღე და ღამ მის მოვლაში და ფუფუნებაში იყო: ფრთებ ქვეშ ათბობდა და საზრდოს არ აკლებდა, თუ გა მოართმევდენ ბარტყებს, უკან აედევნებოდა, მოსვენებას არ მისცემდა; ისთვის ჭამა და სმა აღარ იყო, ისე ზრუნავდა ამ ბარტყებზე.

როდესაც ტოროლა ღონე მიხდილი მოკვდა, ბატარა ტოროლებიც დაისოცენ,—დედობილის დაკარგვა ვეღარ აიტანეს.



ძველი თქმულება.

ასს აქეთ დიდი ხანია რაც. ერთ მიეწუებულ ქვეყანაში, სადაც ჯერ არ ესმინათ ჭეშმარიტი ღვთის სიტყვა, გამოჩნდა ერთი მქადაგებელი.

ერთმა ჭაბუკმა ღვთის სიტყვა შეისმინა, შეითვისა და საკუთარი თავი სულ დაიეწყა. წელზე შემოიკრა თოკი, მათხოვრის ტანისამოსით შეიმოსა, სახარება ხელში დაიჭირა და დაიწყო სალხში ხეტიალი. მას არ აშინებდა არც სიცივე, არც შიმშილი, თავდავიწყებით ემებდა ღვთის სიტყვის მსმენელებს და მათთან ბაასობდა. მისი სახელი მოედო მთელ არე მარეს, და ყოველ მხრიდან ეტანებოდა სალხი, რომ შეესმინათ მისი სწავლა. იგი ქადაგებდა ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა: ტყეში თუ მინდორში, ქალაქ ადგილას თუ სოფლათ, ოღონდ კი სალხი ენახა. მისი მსმენელები უმეტესათ ღარიბი სალხი იყო: დიდი შრომით და გაჭირვებული ცხოვრებით მოქანცულნი. ჭაბუკი ყველას ალერსით და ტკბილათ ეექცეოდა.

მის წინააღმდეგ მოგვები, კერპთ-მსახურები, ამხედრდენ—ლანძღავდენ და სწყევლიდენ და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდენ, რომ სალხს არ გაეგონა ჭეშმარიტება

მქადაგებელი გადადიოდა ერთი ადგილიდან მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზე და ღვთის სიტყვას ჭფენდა ყველგან. გადიოდა დრო, ღვთის მეტყველი დაბერდა, ღონე გამოელია, ჭაღარა შეეპარა, ბოლოს დაბრმავდა და დაურუკდა კიდეც, მაგრამ მოხუცი დაუღალავათ ქადაგებდა, სადაც კი სიტყვა გაუვიდოდა. მან აიყვანა ერთი ობოლი ყმაწვილი, რომელსაც უნდა ეტარებინა ეს მოხუცი.

ერთხელ ბრმა მქადაგებელი მიადგა ისეთ უდაბნო და გავერანებულ ადგილს, სადაც ხალხი სულ მცირე იყო. ამ მხარეში იგი ჯერ არ ყოფილიყო და ელოდა, რომ ხალხი დაუხვდებოდა. დიდი მოთმინებით კლდეღრეში მისდევდა ყმაწვილს, თითქოს დაღალვას ვერცკი გრძნობდა.

უდაბნო საშინელი იყო, ძე ხორციელი არა ჩნდა. ხოლო აქა-იქ მაღალ ფიჭვის ხეებს თუ მოჰკრავდა კაცი თვალს.

—მოდი, დავისვენოთ,—უთხრა მოხუცმა ყმაწვილს.

წყაროსთან ახლოს ერთ ქვაზე ჩამოსხდენ. ყმაწვილმა უსაქმობით განიძრახა ბრმა მოხუცის მოტყუება, მასხარათ აგდება. წამოდგა ფეხზე და ხმა მაღლა დაუყვირა:

—ჰაჰაგ, ხედავ რამოდენა ხალხი გროვდება, მოდი, დაგსვამ მაღლა, რომ ხალხმა უფრო კარგათ გნახოს.

მოხუცს გაეხარდა, წამოდგა. ყმაწვილმა წაიყვანა და სხვა მაღალ ადგილიან, ქვაზე დასვა. მოხუცმა ამოიღო ჯიბიდან სახარება და მოჰყვა ქადაგებას. ჯერ ნელის ხმით, მერე თანდათან ხმა აიმაღლა. უდაბნოსკენ ხელებს შლიდა—დარწმუნებული, რომ მას ყურს უგდებდენ.

— ისმინეთ ჩემგან ღვთის სიტყვა, იეოს თქვენ ზე მისი ლოცვა-კურთხევა. ქრისტე ღმერთი ქვეყანას მოევლინა, რომ ცხონება მიენიჭებინა ყველასთვის, თქვენ ვერ იგუეთ, ვერ შეითვისეთ იგი. იცოდეთ, ღმერთი მოწყალეა და ვინც იმას იწამებს სასუფეველში შევა.

ამ დროს მოხუცის ბასუხათ მთებიდან და კლდეღრეებიდან მოისმა: „ამინ“.

ამ ხმამ ემაწვილი საშინლად შეაშინა, ის მოხუცს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა და ტირილით ბატიებას თხოვდა დაცინვისთვის, რადგან ამ არე-მარეზე ძე ხორციელი არაგინ იეო.

— რა უნდა გაბატიო, უგუნურო ბავშვო, განა ქრისტეს სიტყვები არ არის, რომ თუ ხალხი ვერ შეიგნებს ჩემ სწავლას, თვით ქვები აღაღადებიანო!

და მოხუცი კვლავ გაჰქვა ემაწვილს, რომ ახლა სხვა ადგილას განაგრძოს ქადაგება.

(თარგმანი)

ტასოსი.

იშვიათი ფრინველი.

ინდოეთში არის ერთი იშვიათი ფრინველი სახელათ „ანომალოკოზაქი“, რომელიც ჩვენ უვავს ძრიელ მიეგვანება. ეს ფრინველიც მუქთახორა ფრინველების ჯიშისაა. ერთი ბუნების მეტ-ეველი მოგვითხრობს შემდეგს: თუმცა ამ ფრინველს არ უყვარს დიდი საზოგადოება, მაგრამ მიუხედავათ ამისა ძალიან თამამია. ღამის გასათიებლათ ქალაქების და სოფლების სიახლოვეს ბინავდება, სადაც აუარებელი სალსი ტრიალებს. ამათ ამორჩეული აქვთ ხოლმე ისეთი ადგილები, სადაც თავს იყრიან და გუნდს შეადგენენ, თითო გუნდი ზოგჯერ აღემატება სამი ათასს და მეტსაც, ზოგჯერ ექვსი ათასამდისაც დაითვლება. თუ ადგილი არ გასწვდათ, ჩხუბობენ, ეკირიან, გააქვთ საშინელი კიჟინა, ამათ სმაურობას ემატება სხვა ფრინველების კიჟინაც, რომელნიც ღამის გასათიებლათ იყრიან აქ თავს. ირაკრაქებს თუ არა, ანომალოკოზაქები ჯგუფ-ჯგუფად იყოფებიან და ეკირიკით წინ და უკან ფრენას იწყობენ, თითქოს ერთმანერთს რაღაც ამბებს უამბობენ, ან და აწყობენ მოგზაურობის გეგმას. საზოგადოთ ეველაფერს ესენი დალაგებით და აუჩქარებლათ აკეთებენ. თანაც არ იშლიან ერთმანეთთან გამოთამაშებას.

ეს ფრინველი ეველაფერს სჯამს, არ ერიდება არაფერ საჭმელს, მაგრამ განსაკუთრებით უყვარს ადამიანის ნასუფრალი. ინდოელები სმირათ სადილობენ კარში, თავიანთ სასლის წინ და ნასუფრალს

იქვე ჰყრიან. სასლშიაც რომ სჯამენ ბურს, გა-
აქვთ გარეთ გადასაყრელად. ამ ფრინველებმა კარგათ
იციან სადილობის დრო და ჯერ ერთს მიგზავნიან
სადარაჯოთ დარაჯი როგორც კი ნახავს, რომ ნა-
სუფრალი გადმოყარესო, მაშინვე მიფრინავს ამხანა-
გების შესატყობებლათ. ამათ კარგათ იციან სამზარე-
ულო სად არის და, სადაც კი ამოსულ კვამლს დაი-
ნახავენ, მაშინვე თავს იქ მოიყრიან. ამათი საჭმელი
კიდევ ბაყაყებია, კიბოები, თევზები, სხვა და სხვა
მწერები და სხვა. ზოგი ამათგანი აედევნებიან გემებს,
დიდრონ ნავებს და იტაცებენ ეველაფერს იქიდან
გადმოყრილს. ქალაქ კაპკუტის და სხვა ქალაქების
მახლობლათ ადამიანის გვამსაც ეტანებიან. ინდოეთ-
ში საზოგადოთ მკვდრებს არა მარსავენ, ბირდაბირ
მდინარეში ჰყრიან, იქვე შინაურ საქონლის ლეშსაც
გადაისვრიან ხოლმე. გარდა ამისა უყვართ სილეუ-
ლობა და ხშირად ამათგან ბაღები ეოფილა აკლებუ-
ლი. ზაფხულში, როდესაც არე-მარე სავსეა ტერმი-
ტებით, ეს ფრინველები იჭერენ მათ მრავლობით.

მეორე ბუნების მკვლეველიც ბევრ ამბებს მოგვით-
ხრობს ამ ფრინველების შესახებ: ცეილონის კუნძული
სავსეა ამ ფრინველებით. თითქმის მცხოვრებლების ეო-
ველ ქოხთან ნახავთ ამათ. ისინი ეაფაციცებით უცდიან,
რომ ჩაიგდონ რაიმე საზრდო; მათ გამჭრიახ თვა-
ლებს არაფერი გამოეპარებათ. რა უ და დასტოვოთ
ისეთი გაღებულ ფანჯარაზე, რომ მათ არ მოიტა-
ცონ. დიდი ხერხით ხსნიან შეკრულებს, რომ მონა-

ხონ შიგ ხომ არაფერი საჭმელი არ არი დამალულიო.

ერთხელ ბაღში მეხსეირნენი ძლიერ შეშინდენ: უცბათ მათ წინ სულ ზემოდან ჩამოვარდა გასისხლიანებული დანა. საქმე გამოირკვა. ეს ანომალოკოზაქის ეშმაკობა იყო. თურმე მეზობელ სახლში მზარეული საჭმელს აკეთებდა და, როდესაც რიღასთვისაც ზურგი შეუქცია ძაღიდას, ფრინველმა მოიტაცა დანა, ეგონა ჰირს ჩაიტებანურებდა და, როცა ნახა, რომ მისთვის გამოსადეგი არ არი, ძირს ჩაგდო და ამან გამოიწვია ერთი ვაი-ვაგლახი.

მეორე ქურდ-ბაცაცა ერთხელ დიდ ხანს გარს უტრიალებდა ერთს ძაღლს, რომელიც თავისთვის დამშვიდებით ძვალს ღრღნიდა, უნდოდა წაერთმია ეს ძვალი. რას არ ჩადიოდა, რომ ძაღლის თვალი აეშორებინა: ცეკვამდა, დახტოდა, მაგრამ ძაღლი მაინც ვერ მოატეუა. ამან არ დააბრკოლა ფრინველი, მან მოიუვანა მეორე ფრინველი. ესეც ხეზე შორი ახლოს ჩამოჯდა, მერე უცბათ ეცა ძაღლს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავში ნისკარტი ჩაჰკრა. შეშინებული და გააფთრებული ძაღლი გამოეკიდა ფრინველს, მაგრამ ის უკვე ძაღლა მ.ფრინავდა და მეორემ-კი მოასწრო ძვალის წართმევა.

ა. ფ.



მზეთუნახავი.

(ზღაპარი გაგონილი ზემო იმერეთში)

ეო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქ-ნებოდა. იყო ერთი საწყალი კაცი, რომელ-საც არაფერი მოექმებნებოდა.

ერთხელ აიღო ცული და თოკი, წავიდა ტყეში, დაადგა ერთს ჯირკს და ჭრა დაუწყო.

ცოტა ხანს შემდეგ შიგ მეოთმა მზეთუნახავმა გა-მოსძახა: „ნელა, გვერდები არ ჩამათალო და ბედსა ეწევიო“.

გაიკვირვა კაცმა,— „ეს რა ეშმაკიაო“! წავიდა მჭე-დელთან, გააკეთებინა იარაღი: სატეხე, ცული, შალა-შინი, მოიტანა ეკვლა ესენი და ნელ-ნელა მოაძრო ჯირკი, წამოიკიდა თოკით და სახლში წაიღო; ფრთ-ხილად დასდო, თითო-ოროლა ნაფოტს აძრობდა.

მზეთუნახავმა კიდევ გამოსძახა: „ნელა, გვერდი არ ჩამათალო“!

დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გამოიყვა-ნა მზეთუნახავი ჯირკიდამ და თავის ღარიბ ქოხში შეიყვანა.

არც დღე და არც ღამე ამ კაცის ქოხში სანთლის ანთება საჭირო არ იყო, ისე ანათებდა მზეთუნახავი.

ერთ დილას მზეთუნახავთან მივიდა ერთი წყეუ-ლი ბებერი, მისცა მას თიხის ნატეხი და უთხრა:

— „დედა შვილობას ცეცხლი მინდა დასანთებათ“ და ცაისარჯე, გამოიტანეო“. მზეთუნახავი ქოხში შე-ვიდა ცეცხლის გამოსატანათ.

ბებერი-კი ხელმწიფესთან წავიდა და მოახსენა:

— შენი „იცოცხლე, მეფევ, არაფრად ეღირება, თუ ის მზეთუნახავი არ იშოვნე, რომელიც ღარიბ გლეხ კაცსა ჰყავს!

— მერე მისი შოვნა როგორ ძოვახერხო?— ჰკითხა მეფემ.

— ეს ადვილი საქმეა; დაიბარე ის კაცი და ისეთი რამე დაავალე, რის შესრულებაც ვერ შესძლოს! —უპასუხა ბებერმა.

ხელმწიფეც ამ გვარად მოიქცა, დაიბარა ის კაცი და უბრძანა:

— გავიგე, შენ მზეთუნახავი გეოლია; ან ის მომიეგანე, ან სამი დღის ბავშვი, რომელმაც შესძლოს ყველა ჩემ კითხვებზე პასუხის გაცემა.

— მე ვერ გავცემ პასუხს მეფეს და, აბა, სამი დღის ბავშმა მას რა პასუხი უნდა გასცეს!—ფიქრობდა კაცი და დაღონებული, ატირებული თვალებით ძნისკენ გაემგზავრა.

ცოლმა ჰკითხა:—რა დაგემართა, რათა ხარ დაღონებული?

— როგორ-თუ, რათა; ძლივს გიპოვე და ეხლა-კი ისევ მართმევენ შენ თავს. ხელმწიფემ მითხრა: ან მომგვარე შენი მზეთუნახავი ცოლი, ან სამი დღის ბავშვი მომიეგანე ისეთი, რომელმაც ჩემ კითხვაზე პასუხი გამცეს!—უპასუხა დაღონებული სმით ქმარმა.

— მერე ამან დაგაღონა? წადი და იქ, სადაც ჯირკი მოსთხარე, ჩემს ძმას და რძალს ნახავ. იმათ ბავშვს დღეს შეუსრულდა სამი დღე, უთხარი იმათ,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ დას დღეს მოუნდა თავის ძმის წულის ნახვა და ისინი ხოჯიჭით მოგაწოდებენ ბავშვს!—უთხრა ცოლმა.

ქმარი წავიდა, გამოართვა იმათ ბავშვი და ხელმწიფეს ძიუყვანა.

ხელმწიფე გაუწერა გლეხს:

— ამან რა პასუხი უნდა მაგოს!

ბავშვმა ამ დროს ხელმწიფეს ძიუგო:

— ცოთა სწორო ხელმწიფეო, რა კითხვა უნდა მომცე, რომ ვერ გიპასუხო!

ხელმწიფე გაანცვიფრა ბავშვის ამ გვარმა ქცევამ და უთხრა გლეხს:

— წადი, წადი! ეს ბავშვი და ის ქალიც ღმერთმა მოგახმაროს.

ბოროტმა დედა-კაცმა ეშველაფერი გაიგო და ისევ შეუჩნდა ხელმწიფეს:

— დაიბარეთ, ხელმწიფეო, და სხვა რამე დაავალეთ! – ხელმწიფემ დაიბარა გლეხი ხელმეორედ და უბრძანა:

— ან მზეთუნახავი უნდა მომგვარო, ან შენ ქოხიდან ჩემ სასახლე'დე ოქროს ქსოვილი უნდა გააბა, თან წინდის ჩხირებით უნდა ააუვავოო!

გლეხი თვალ ცრემლიანი დაბრუნდა შინ.

— რა გატირებს?—ჰკითხა მზეთუნახავმა.

– ხელმწიფემ ასალი დავალება მომანდო: ან ქალი მომიყვანე, ან შენ ქოხიდან ჩემ სასახლემდე ოქროს ქსოვილი გააბი და თან წინდის ჩხირებით ააუვავეო. როგორ შევიძლო მე ეველაფერი ეს!—მოთქმით უპასუხა გლეხმა მზეთუნახავს.

— მაგისთვის რათ სწუხარ, წადი და ჩემს რძალს გამოართვი ოქროს ქსოვილი თავის წინდის ჩსირებით და გააბი ჩვენ ქოხიდან იმის სასახლემდის!— უთხრა მზეთუნახავმა, გლეხიც ასე მოიქცა.

ხელმწიფეს ამ სანახაობამ თვალი მოსჭრა, გაიკვირვა და უთხრა:

— წადი, საწყალი შენ-კი არა, მე ვეოფილვარ; ღმერთმა მოგახმაროს ესეც და ცოლიც.

ბოროტ, ბებერ დედა-კაცს სულმა არ მოუთმინა, მიირბინა ხელმწიფესთან და ურჩია კიდევ დაებარებია გლეხი და ახალი რამე დაევალებია.

ხელმწიფემ კიდევ დაიბარა გლეხი და უთხრა:

— ან შენ ცოლზე აიღე ხელი, ან ისეთი ნესვი მოიტ-ნე, რომ იქიდან ჯერ კურდღელი გამოხტეს, მერე მწევარ მეძებარი და მერე კაცი, რომელიც კურდღელს მწევარს წაუსისინებს.

გლეხი დაბრუნდა შინ და ნაღვლით უამბო მზეთუნახავს ყველაფერი.

— ნუ სწუხარ, უთხრა მზეთუნახავმა, —წადი ჩემს მამასთან, ჩვენი ბაღი სულ ამ გვარი ნესვებით არის სავსე, ჩასმახე და სამი ნესვი გამოართვი.

როცა ნესვები მისცეს, გლეხმა იფიქრა, ვაი, თუ მოვსტეუვდეო და ერთი იმათგანი მიწაზე დაანარცხა. მოხდა სასწაული, გამოვარდა ნესვიდან კურდღელი, მას მოჰყვა მწევარი, მერე კაციც გაჩნდა და წასისინება დაუწყო.

გლეხმა ნაღვლიანობა დაიწყო,—იქნებ მარტო ერთი ნესვი იყო ასეთი, სხვები-კი არ გამოდგესო, მაგრამ მზეთუნახავმა დაამშვიდა.

გლეხი მივიდა ხელმწიფესთან და მისივე თვალწინ დაახალა მიწაზე ნესვი. მოხდა სასწაული: გამოვარდა ნესვიდან კურდღელი, მას მოსდევდენ მწევარი და მეძებარი. უკან კიდევ კაცი გამოვარდა და ისიც კურდღელს დაედევნა.

მეორე ნესვი დაანარცხა და მაშინაც ასე მოხდა, ხელმწიფე გაჭკვირდა და უთხრა გლეხს: — ღმერთმა მოგახმაროს მზეთუნახავი, წადი, თავისუფლად იარე!

გლეხი შინ დაბრუნდა. ბოროტი ბებერი ისევ ხელმწიფესთან გაჩნდა.

ხელმწიფეს გული მოუვიდა და ბრძანა:

— სტაცეთ მაგ ბებერს თმაში ხელი, გამოიყვანეთ ჩემი ბედაური, გამოაბით კუდში და ცხენი გააქანეთ!

მისმა კარის-კაცებმა მაშინვე შეასრულეს ბრძანება!

ჭირი იქა—ლხინი აქა.

(ჩაწერილი ნინა ვაჩნაძეს მიერ).

მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(მოთხრობა ლუი ვერგოსი)

IV.



ამ დილასაც, როგორც წინა დღეებში, მონადირე ლიზე ძმისშვილ თუმცა ჩქარი ნაბიჯით ადიოდა ვიწრო ხეივანში, სადაც მის სქელ ფეხსაცმელის ლურსმნებს ვატარა ბილიკივით გაეკაფათ გუპილის საფერობილემდის.

როგორც კარგათ გაწვრთნილ ძაღლს შეეფერება, ერთგული მირო მას წინ მიუძღოდა; საზოგადოთ მირო ძალიან არ ასწრებდა ხოლმე ლიზეს, მათ შორის ეოვველოვის ერთი და იგივე მანძილი რჩებოდა, რომელიც დიდი ხნის ჩვეულებას და ჩუმ თანხმობას დაეწესებინა; მაგრამ დღეს ლიზე იძულებული იყო მოკლე და გამეორებული სტვენით ეოვველ წამს გაესსენებინა თავისი ამხანაგისთვის ეს ჩვეულება და ეს თანხმობა.

მიროს ცხვირი ზევით აეწია, კუდს გაჩქარებით იქნევდა, ეტყობოდა ნადირს გრძნობდა; ლიზეც გუპილის ამბავს მიმხვდარიყო და დიდ, ხორკლიან ხელებს სიამოვნებით იფშვნეტდა, ნაბიჯს კი მაინც არ უმატებდა და ისევ დამშვიდებით განაგრძობდა სიარულს

ნაცნობ ბატარა გამოქვაბულისკენ; ძაღლი კიდეც მი-ვარდნილიყო იქ და ახლა ოთხივე თათ-ჩაკეცილი, კისერ-წაგძელებული, თვალებ დაშტერებული, კუდ-გაშვერილი, მხოლოთ ბატრონის ნიშანს ელოდა, რომ თავის მსხვერპლს სცემოდა.

მუხის ფიცარი ძირს ჩამოსრიალებულიყო და მას ქვეშ მარჯვენა გვერდზე დაგდებული, გამხმარი, ტყავ-გაქუცული მელა მოჩანდა; მახეს ის გვერდზე გადა-ეწვინა და ამით სიკვდილს გადაერჩინა, ხირხიმალი გადამტვრეული არ ჰქონდა; მაგრამ მელა მაინც მკვ-დარსავით ეგდო, თვალები დაეხუჭა, არ ინძრეოდა; ფიცრის დახეთქებას მისთვის გრძნობა დაეკარგვინე-ბინა; მეოთხედი საათი თუ იქნებოდა, რაც ის ამ მდგომარეობაში იყო,— და ლიზეც კამოჩნდა.

ავმა და შეურაცხყოფით სავსე ღიმილმა, რომე-ლიც ამ სურათის დანახვაზე მონადირის სახეზე ათა-მაშდა, ცხადათ გამოთქვა, რომ მისი გამარჯვება უნა-კლულო არ იყო; იგი მოწამლული იყო იმ ფიქ-რით, რომ დამარცხებული ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანდა; მისი ტყავი აღარაფრათ ვარგოდა, მის ხორცს ხომ დაძშეულიც არ დახარბებოდა.

უეცრათ ლიზემ შენიშნა, რომ გუბილს გვერდ-ბი აუთრთოლდა; სჩანდა მელა მკვდარი კი არა, მხო-ლოთ გულ-შეწუხებული იყო. მაშინვე ერთმა ახრმა, შურის-ძიების და საცინათ აგდების უწყალო ახრმა, გაუელვა მას თავში; ხმა-ამოუღებლათ მან მოხსნა ძაღლს უელსაბამი და მელას შეაბა კისერზე; გაიშინ-

ჯა ძველი, გაცვეთილი შარვლის ჯიბეები, იპოვა შიგ წვრილი ბაწარი, დაწნა ჰატარა ბადესავით და მით ჰირი აუკრა მელას; ცხვირსახოცით უკანა თათები მაგრად შეუბოჭა, დაშალა და იქვე ჩირგვებში მიმალა მახე, მერე ორივე ხელი სტაცა მელას ოთხივე თათში, კისერზე წამოიგდო იგი და ჩვეულებრივი მძიმე, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით გაეშართა სოფლისაკენ.

მირო უკან აედევნა, თან თვალს არ აშორებდა წაწვეტებულ ცხვირს, რომელიც კაცის მხარზე მოჩანდა.

მოძრაობამ, მზის სითბომ, გაზაფხულის დილის გრილმა ნიავმა ნელ-ნელა მოასულიერეს გუჰილი. ჯერ მხოლოთ განთავისუფლების სიტკბოება იგრძნო, სანეტარო იმ მწარე ტკივილისა და იმ საზარელ შიშის შემდეგ, რომელიც მახეში გაბმის დროს გამოსცადა; წმინდა და სურნელოვანი ჰაერი საამოთ უფართოვებდა ფილტვებს და იმ ბედნიერ, იმ უდარდელ დროჟამს აგონებდა, როცა ის ტყეში თავისუფლათ დახეტიალობდა; მთელი ძისი არსება, ჯერ ისევ გამოურკვეველ ბურუსში გახვეული, რაღაც უანგარიშო სიხარულს ეძლეოდა დღის სინათლეს რომ ხედავდა და ცის კიდეზე დიად, ბრწყინვალე მზეს რომ არჩევდა.

მაგრამ რაც უფრო და უფრო ერკვეოდა, გრძნობები ეცვლებოდა გუჰილს; ჯერ კისერზე და თათებში იგრძნო რაღაც ტკივილი, მერე თითქო დამძიმებულ თავში; მერე უცხო, უცნაური სუნი ეცა, კაცისა და

ძაღლის სუნი; ამ სუნმა უეცრათ გაახსენა სინამდვილე; მან ფართეთ გაახილა თავისი სიცხიანი თვალები და ერთ წამს დაინახა ეველაფერი; კაცი, რომელსაც ის მიჰყავდა, ძაღლი, რომელიც უკან მისდევდა, თავისი თათები, მონადირის ხორკლიან ხელებში მომწყვდეული, და იქ, შორიახლოს, სოფელი, მტრებით სავსე ავი სოფელი.

სასოწარკვეთილებით ის გაიჭიმა, გაიჭედა, სცადა ხელიდან გამოსხლტომოდა ლიზეს და გაქცეულიეო, გამქრალიეო თავის საყვარელ ტყეში; მაგრამ კაცი ფრთხილათ იეო და კიდევ უფრო მაგრათ მოუჭირა ხელები საცოდავი გუბილის თათებს; მიროამაც მნიშვნელოვანი ღმუილით ცხადათ დაამტკიცა, რომ ისიც იქ იეო და ფხიზლად დარაჯობდა ტყეს.

ახალი შიში, წინანდელზე ბევრათ უარესი შიში, რომელმაც მთლათ დაავიწყა ამდენი ხნის შიმშილი, წყურვილი, ტანჯვა გამოქვაბულში, ეკალივით ჩაესო გუბილს ტვინში; განსაცდელს გარეგნობა ეცვალა, მაგრამ ახლა უფრო ახლო, თანაც უფრო აუცილებელი და საზარელი იეო; ახლა მას თითქმის კიდეც ენანებოდა გამოქვაბულში გატარებული აუტანელი საათები და გამწარებით ცდილობდა გამოეცნო, სიკვდილის წინ როგორ გააწვალებდენ და ან რა გვარ სიკვდილს გადუწყვეტდენ.

წარმოდგენა მას სხვა-და-სხვა, ერთი მეორეზე საშინელ, ერთი მეორეზე ზარ-დამცემ სურათებს უხატავდა; ის თავის თავს დაბმულს ოთხივე თათ-გაკავებულს ხედავდა; ხან ძაღლების კბილები ჰგლეჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას, ხან ლიზეს თოფის წამალი ჭხვრეტდა; ნახევრათ გატეავებული, ხორც-დაფლეთილი, მკლებ დამტვრეული იეო; კიდეც გრძნობდა საფანტს თავის ტანში, საფანტს, რომელიც ისე ერჭობა შიგ, როგორც დიდი შავი ეკალი, და რომლის ნახვრეტიდამაც სისხლი სწვეთს შეუჩერებლათ, უსაშველოთ სულ სწვეთს და სწვეთს.

მირო მელას თვალს არ აშორებდა და დრო-გამოშვებით ულრჭენდა მას თავის გრძელ წვეტიან კბილებს; საჰასუხოთ გუჰილმაც ბადის უკანიდან ტუჩები აიწია და ფერ-წასული ღრძილები, წვრილი და ბასრი კბილები გამოაჩინა. ოჰ, რა გულით უკბენდა, რომ შეძლებოდა, ჯალათს, რომელსაც ის მიჰყავდა! ჯალათს, რომელიც, დარწმუნებულია, რომ მელა ვერას დააკლებდა, კმაყოფილი ღიმილით განაგრძობდა სიარულს სოფლისაკენ!

ახლა მელა სოფლის ხმაურობასაც არ ჩერდა; ეს ხმაურობა მისთვის უცნობი არ იეო; შორიდან ხშირათ გაეგონა ის და კიდეც გამოერკვია, რა-და-რა ხმებისაგან შესდგებოდა; ზოგი მათგანი მისთვის სულ უმნიშვნელო იეო, ზოგი ახლოს ხვდებოდა მის გულს, როგორც კატების მონადირეს და ქათმების მოსისხლე მტერს, ზოგიც საშიში, საფრთხილო, აგონებდა მას კაცის და მისი განუერელი მეგობრის, ძაღლის არსებას და მათ გაუტანლობას, სიძულვილს. ეს ხმები იეო ძროხების ბღავილი, ურმების ჭრიალი, ქათმების კაკანი, ძაღლების ყეფა და ბატარა ბავშვების ყვირილი, რომლებიც სახლებს წინ მოგროვილი თა-

მაშობდენ და კინკლაობდენ. ეველა ამის გაგონებაზე გუპილს ცხადათ წარმოუდგა თვალ-წინ ახლო მომავალი, მის გარშემო კედელივით ამართული გაცოფებული მტრების რაზმი, და აქ კი საბოლოოვოთ დარწმუნდა, რომ ხსნის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა, რომ ტანჯვას და სიკვდილს თავს ვეღარ დააღწევდა.

მისდა საბედნიეროთ ლიზეს სახლი სოფლის განაპირას იყო; ლიზე ვიწრო გზას შეუდგა, რომელსაც ორივე მხრით ეკლნარი გაჰყოლოდა; რამდენიმე ბავშვი გზის პირას ია-იას ჰკრეფდა; ისინი აღტაცებაში მოიყვანა უცხო, უნახავმა ცხოველმა, ია-იას თავი დაანებეს და დიდი ამბით მიაცილეს სახლამდის ლიზე და მისი პატიმარი.

სახლში ლიზემ გუპილი ლოგინის ფეხს მიაბა და თითონ ცხელი წვნით ისაუზმა, რომელიც ცოლმა მიართვა; მერე გარეთ გავიდა, ჩვეულებრივ დღიურ საშუაოს შეუდგა, მელას კი დარაჯათ მირო მიუყენა; საწყალი გუპილი კანკალით ელოდა, აგერ ახლა მომკვარდება და გამგლეჯს მირო, აგერ ახლაო, მაგრამ მირო სრულიადაც არ ჰფიქრობდა მის გაგლეჯას; ის მოსვენებით გაწვა ძველ ტომარაზე, რომელიც ცეცხლის პირას იყო მისთვის გაგებული, და მხოლოთ ხან-და-ხან გადმოუბრიალებდა ხოლმე სიძულვილით თვალებს თავის ტყვეს.

მთელი სოფლის ბიჭ-ბუჭებს გაეგოთ მელას დაჭერის ამბავი და ლიზეს სახლს გარს შემორტყმოდენ იმ იმედით, რომ თვალს მოჰკრავდენ უცხო მხეცს; დრო გამოშვებით ზოგი მათგანი, სხვებზე უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო გამბედავი, ფანჯარამდის აცოცდებოდა ხოლმე და მოკრძალებით შეიჭვრეტდა საიდუმლოებით სავსე ოთახში, მერე კი, როცა სხვები დაედებოდენ, რა დაინახეო, მხოლოთ დიდ მნიშვნელოვანათ იქნევდა თავს, თუმცა სრულიადაც არა დაენახა რა.

ეველა ეს სმაურობა, ბავშვების ევირული, ჩხუბი, სიცილი, მთლათ აბოროტებდა საწყალ გუპილს; ამდენი უჩვეულო მოვლენით გაშტერებული, ამდენი მოულოდნელი შემთხვევით გაბრუებული, ის ველარას გებულობდა, თითქო რაღაც გამოურკვეველ ბურუსში ეხვეოდა; ვერც კი შენიშნა, რომ მზემ გადისარა, რომ დაღამდა, ჩამობნელდა; მაგრამ როცა უეცრათ ლიზე შემოვიდა ოთახში, ის მაინც შეკრთა და აცახცახდა. ლიზეს სხვებიც შეძოჰყვეენ, მისივე შეხედულების და სუნის რამდენიმე მტერი; ეველა ჩიბუხს ეწეოდა, მოცისფრო კვამლს აბოლებდა, და ეველა იცინოდა.

თამბაქოს სუნი გუპილისთვის უცნობი რამ იეო; მან ისე წაუჭირა ცხვირში და ყელში, თითქო სიკვდილის წინამორბედი ეოფილიეო; სიცილისაც არა გაეგებოდა რა; თუ მირონს, ჭკვიანს და დაკვირვებულს, დიდი ხანი იეო გამოეცნო, რომ მისი ვ. ტ. რონის სიცილი მისთვის მოფერებას და გემრიელ ლუკმას მოასწავებდა, თუ მირო, როგორც ბევრი მისი მომმე, თითონაც ცდილობდა ტუჩების აწევით და კბილების დაკრეჭით კაცისთვის თავისი კმაეოფილება და მორჩილება გამოეხატა, გუპილი, გარეული, ტეის ცხოველი, სულ სხვა თვალით უეურებდა ამგვარ ქცევას; სიცილში ის მხოლოთ კბილების ღრე-

ჭას და მუცლების რხევას ხედავდა, და ეს წინ გამოშვერილი კბილები, ეს ძოძრავი მუცლები მას შიშით და კრძალვით ავსებდენ, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ კბილები მის გაგლეჯას და მუცლები მის გადაულაპვას აპირებდენ.

ლიზე ცხარობდა, ლაპარაკობდა, ხელებს იქნევდა; და მის გარშემო ჰირები უფრო ფართეთ იღებოდენ, კბილები თითქო გრძელდებოდენ, მუცლები შეუჩერებლათ ხტოდენ, სახეები იმანჭებოდენ.

განწირვის წუთი ახლოვდებოდა!

კაცები სკამებზე დასხდენ, ლიზე კი დაფათურდა, უთუოთ თავისი მსხვერპლის დასატანჯავათ იარაღს ამზადებდა; ეს საცოდავი ლოგინის უკან იმალებოდა და დედა-მიწის ზურგიდან გაქრობას ნატრულობდა.

ლიზემ გაათავა. ახლა მას ცალ ხელში რაღაც წვრილი და გრძელი, თითქო ებებიანი, ეჭირა, მეორეში—უცნაური რგვალი საგანი, რომელსაც ზევით მკვდარი კაცის თვალებისთანა ორი ჭვრიტიმალი ჰქონდა, ქვეით კი—ფართე ნახვრეტი, ავი სიცილით გაღებული ჰირის მსგავსი.

უეცრათ ის მივარდა გუბილს და მუხლებს შუა მოიმწყვდია მისი თავი და კისერი; გუბილმა იგრძნო, რომ მისი უკანასკნელი წამი დგებოდა; სასოწარკვეთილებით ერთი კიდევ სცადა განთავისუფლებულიყო, მერე კი ღონე-მიხდილი, იმედ გადაწყვეტილი, ხმაამოუღებლათ, უნძრევლათ დამორჩილდა თავის უწყალო ბედს; მან იგრძნო, რომ კისერზე ცივი მართუ-

ლი შემოეხვია, იგრძნო, რომ რკინის ებებმა შეჭკრა ეს მართული, იგრძნო, რომ ეს ახალი ველსაბამი სულ უფრო და უფრო უჭერდა კისერზე...

დახრჩობას უპირებენ!

მაგრამ არა. ლიზემ გუპილის კისერსა და მართულს შუა თითი გაჭეო და სატანჯველი შეაჩერა; მოხსნა მელას ბაწრის ბადე, მიროს ტუავის ველსაბამი და იქვე გადისროლა ორივე, მერე სტაცა გუპილს ხელი გახვრეტილ რგვალ საგანზე, რომელიც მართულზე ეკიდა, და კარებისკენ წაათრია იგი; მათ უკან კაცები სულ ისევ ისე შეუბრალებლათ ხმაურობდენ...

მონადირემ გუპილი იქითკენ გაათრია, საითკენაც შორიდან ტბა მოჩანდა და საიდანაც ბაყაყების ხმა-მაღალი ეიეინი ისმოდა; და ჯერ გუპილს ვერც კი გაეგო, რა ხდებოდა, რა ემართებოდა, რომ ლიზემ უკნიდან მძლავრი წისლი გაჭკრა და ღამის სივრცეში გაისროლა იგი.

(შემდეგი იქნება)

თარგ. ელ. დემოლინ-წვრეთლისა.

გამოცანები.

(წარმოდგენილი ან. კაბანაძისაგან)

საძირკველო რკინისაო,
ყელ მაღალო ციხისაო.

—

ქვესკნელს წითელი ხარი მყავს
ოთხავ ფეხებით კავშია,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს
ადგეს,—გავიდეს კარშია.

—

ერთი ზის და ვერა დგება,
ერთი სჭამს და ვერა ძღება,
ერთი დადის ვერ დაჯდება.

—

ყმაწვილებო, ამიწერეთ აქ დახატული სურათი მოკლეთ, და ვისი ნაწერიც ულეთესი გამოდგება იმას საჩუქრათ ერგება ფერადი წამლით დახატული თამარ დედოფალის სურათი.

ახსნა: გამოცანებისა. ქვაბი. ტიკი.

დევ-გმირი ქალის სათამაშო.

(ადელბერტ შამისსოსი — † 1838 წ.)



ციხე ნადეკი — ელზასში *) იყო
თვის სიმაღლით და სივრცით ცნობილი;
მაღალსა მთაზე აღშენებული
ვრცელს ველს დასცქერდა ნისლით მო-
ცული.
მასში ცხოვრობდა ძველად დევ-გმირი,
ერთი ჭარმაგი მოხუცებული
და თვის სიცოცხლის სანუგეშებლად
ჰყავდა მას ერთად ერთი ასული.
მისი ასულიც იყო დევ-გმირი
და სიყოჩაღით დიახ ცნობილი:
ცელქი, მარდი და მოუსვენარი —
სილამაზითაც იყო შემკული.
ხან და ხან ციხე — დარბაზით ბაღში
ის სასეირნოდ გამოდიოდა...
და რა ხდებოდა ძირს, დაბლობებში,
ამის შეტყობა ძლიერ სწყუროდა.
ერთს დღეს დაეშვა მთის წვერიდამ ძირს
და სისწრაფითა ტყე ჩაიარა,
უცნობი მხარე იხილა თვალით
და მისი ნახვით მან გაიხარა.
ნახა სოფლები და ქალაქები,
მინდორ — ბაღები, დიდი ველები, —
ჯერ არ ენახა იმის თვალებსა
ამისი მსგავსი სანახავები.
იმან შეხედა, — პატარა გლეხი

*) ელზასი — პროვინციაა გერმანიის სახელმწიფოში.

თავ-ჩალუნული მიწასა ხნავდა,
ტანით პატარას ცხენიც პატარა
იმას გუთანში შებმული ჰყავდა.
ქალმა იფიქრა: „ვიშ, კარგი რამე
სათამაშო მე მინდორში ვპოვე:
ორსავე ამას თავშალში გავხვევ
და შინ წავიღებ ამათ ახლავე!“
მართლაც გლეხი და ცხენი მის გუთნით
გამოახვია თავის თავშალში...
ქლოშინ-ქლოშინით გახარებული,
ალმართ-ალმართით მირბოდა სახლში.
რა შევიდა შინ, მამას შესძახა:
— „ეს სათამაშო მთის ძირში ვნახე...
შეხე, მამილო, რა ლამაზია?!
რა სასაცილო აქვს ამას სახე?!
მოხუცი იჯდა მაგიდის გვერდით
და ჭიქა ღვინით ეჭირა ხელში...
ღიმილით შეხვდა ქალის შემოსვლას:
— „აბა, მაჩვენე რა გაქვს თავშალში?!
რა მოიტანე და მთისა ძირში
რა იშვიათი ნივთები ნახე!!.“
ეტყვის მოხუცი და თან ალერსის
ტკბილი სიამით ულიმის სახე!
გახსნეს თავშალი და ამოიღეს
ცხენი და გლეხი... გახარებული
ქალი ტაშს ტკრავს მამის წინაშე,
მაგრამ შუბლს იკრავს მოხუცებული.
— „ეს რა გიქნია?! ღმერთო! შეუნდევ!
ეგ ხომ გლეხია გამრჯე-მშრომელი...
პატარა არის, მაგრამ ღვთისაგან
კურთხეული აქვს მარჯვენა ხელი!..
ის ყველას გვარჩენს თავისი შრომით,
მის ოფლით ვცხოვრობთ ჩვენც დევ-გმირები,
ჩვენ ყველას გვიდუღს იმისი სისხლი
და მისივე ყართ ჩამომავლები.
დაუბრუნე ის ახლავე მინდორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან გახსოვდეს ჩემი სიტყვები:
გლეხი არაა რამ სათამაშო
და ნივთი ჩვენი გასართობელი!“
ჩაუფიქრდა ის ღრმად იმა სიტყვებს,
რასაც ეტყოდა იმას მშობელი,
და წყნარის ბიჯით ისევ მინდვრისკენ
მან წაიყვანა გლეხი მშრომელი.
ღღეს იგი ციხე დანგრეულია,
მის შესავლისაც არ სჩანს გზა-კვალი;
და დევ-გმირებსაც ხომ ველარ ხედავს
დედა-მიწაზე ვერავის თვალი!

ილ. ფერაძე.

ჰეერი და ულფი.

ნორვეგიის მიყრუებულ მთებში.

ბოიეზენის მოთხრობა.

I.

ხოლოდ ორ ადგილას—შვეიცარიისა და ნორვეგიისას—გლეხ-კაცები მისდევენ უხიაკო ადგილებში აწოსულ გარეულ ბალახის თიბვას. საბალახო მინდვრები იქ ცოტაა, ასე რომ ზამთრობით თივა ძვირდება ხოლმე. ამიტომ, თუ კი სადმე ამოდის ბალახი, ხელსაყრელია მისი მოთიბვა. კლდე-ღრეებში და მთის ალმართ-დალმართებში შეხვდებით ბალახის ბუჩქებს, რომლებსაც გლეხები გარეულ ბალახს ეძახიან, რადგან ის არავის არ დაუთესია. ნუ თუ ტყუილ-უბრალოდ ღნდა დაიკარგოს და კაცმა ის ვერ გამოიყენოს? რატომაც არა! შვეიცარლები და ნორვეგელები გასაოცარი სიმარდით ჩაეშვებიან უფსკრულისკენ თოკით, რომლის ერთი ბოლო წელზე აქვთ შემოჭერილი და მეორე კი ზევით არის მიმაგრებული; მიაღწევენ



თუ არა ბუჩქს, მოთიბავენ ნამგლით და ჩაჰყრიან პარკში, რომელიც წელზე აქვთ მიმაგრებული. როდესაც პარკს აავსებენ, ანიშნებენ ზევით მყოფ ამხანაგს, რომ აიყვანონ მაღლა.

ამგვარი ხელობით ბევრი ოჯახი შოულობს საცხოვრებელ წყაროს მთიან ადგილებში. მოთიბულ ბალახს ჰყიდიან და აღებული ფულით კი საჭირო საოჯახო ნივთებს ყიდულობენ.

ნორვეგიის ერთ მთიან ადგილას იყო ერთი ასეთი გარეული ბალახის მთიბავთაგანი პეერი-ანგელეიკი. მის შვილსაც პეერი ერქვა. ცხადათ ეტყობოდა, რომ შვილიც მთიბავი გამოვიდოდა, როგორიც მამა მისი.

როდესაც პატარა პეერი დაიბადა, მამამ მაშინვე გაიფიქრა, რომ, წამოიზრდებოდა თუ არა ბავშვი, მას შეეძლო დაეთხოვა თავისი თანაშემწე. თანაშემწე იყო ულფ ფანნივოლდ. როდესაც ულფიც გახდა მამა პატარა ქერა თმიანი ბავშვისა, გაიხარა და იფიქრა, რომ მალე შეიძლება ისიც განთავისუფლდეს პეერი ლანგელეიკისაგან. ორივენი ხშირად ჩხუბობდენ და არასოდეს არ ყოფილან მეგობრულ განწყობილებაში.

პატარა პეერი საათობით იზრდებოდა, როგორც ზღაპრებშია ნათქვამი. როდესაც თორმეტი წლისა გახდა, მამამ გადასწყვიტა, რომ დრო არის შეასწავლოს მას თავისი ხელობა. ტირილი და ვედრება დედისა არ გადიოდა. მოხუცმა პეერმა უთხრა: „სისულელეა და სხვა არაფერი.“ მაშ რის მოხელეა თოკი. გამწარებული დედა გუდრიდა კი არწმუნებდა, რომ ასეთი ხელობა სახიფათოა ბავშვისთვის და უკეთესი იქნება, რომ სკრიპკაზე დაკვრა ისწავლოს. მართლაც, პეერი ლანგელეიკი მხოლოდ ზაფხულობით იყო მთიბავი, ზამთრობით კი ფულს სკრიპკაზე დაკვრით შოულობდა.

როდესაც სოფელში გაიგეს, რომ პეერი ასეთი სახიფათო ხელობას ასწავლის თავის თორმეტი წლის შვილს, ყველანი კიცხავდენ და ამბობდენ, რომ ბავშვი მალე დაიღუპებაო. მაგრამ არავის ფიქრათაც არ მოსვლია, რომ ამათი წინასწარმეტყველება მალე ასრულდებოდა. სულ ორი კვირა არც-კი გასულა, რომ ბავშვს უბედურება შეემთხვა. როდესაც ერთხელ ბავშვი ჩაუშვეს ხრამში პატარა ბუჩქის მოსათიბავად, მას ფეხი დაუცდა, კლდის კიდეს მოწყდა და უფსკრულში

ჩაეკიდა; თოკი უნებურათ გაქანდა იქეთ-აქეთ და ყმაწვილს ახეთქებდა კლდეს.

მამა, რომელსაც თოკის მეორე წვერი ეჭირა, გაფითრდა შიშისაგან და, როგორც კი იგრძნო ბავშვის სიმძიმე, გულ შელეულმა დაუწყო თოკს ზევით წევა. შემდეგ მიაბა თოკი ხის ძირს, თითონ გადაეყუდა უფსკრულს, რომ დაეფარა ბავშვი წვეტიან კლდის ნაპირებისაგან, მაგრამ, როგორც კი ჩაიხედა უფსკრულისკენ, შიშით გაქვავდა.

ძირს, კლდის საფეხურზე იჯდა პატარა კაცუნა, წითელ ქუდიანი—და შესცქეროდა მას გესლიანი სიცილით. პეერმა გაიფიქრა, რომ ის მთის ავი სული უნდა იყოს და მან მის შვილს ხელი ჰკრა. მიგრამ ამავე დროს ბუჩქიდან გამოჩნდა ულფი ფანნივოლდი, მისი ძველი თანაშემწე, და ანიშნა წითელ ქუდიან ბავშვს, რომ გაჰყოლოდა მას. მაშინ კი მიხვდა პეერი, რომ ულფიც ასწავლის შვილს თავის ხელობას და მაშასადამე მტრული განწყობილება მამებისა ურთიერთ შორის შვილებზედაც გადავა.

პეერს არასოდეს არ უგრძვნია თავისი თავი ისე უბედურათ, როგორც იმ წამს, როდესაც თავისი შვილი უფსკრულიდან ამოიყვანა და აყვანილი წაიყვანა წყაროსკენ. ბავშვს თავიდან სისხლი სდიოდა. მან ცივი წყალით მობანა ჭრილობა და ბავშვი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და გაახილა თვალები. მოხუცი პეერი ჩაეკონა თავის შვილს და დაიწყო ყმაწვილივით ქვითინი, მაგრამ, დამშვიდდა თუ არა, სახე ისევ მოეღუშა. მან გაიფიქრა, რომ ულფმა ჰკრა ხელი პეერს და შეჰფიცა თავის თავს, რომ ძვირად დაუსვამს მას ამ საქციელს.

გავიდა სამი თუ ოთხი წელიწადი ამ შემთხვევის შემდეგ. მთელ მიდამოში ყველა იმ სიძულვილზე და მტრობაზე ლაპარაკობდა, რომელიც გამწვავდა ამ ორ მთიბავთა და მათ შვილებთა შორის. ლაპარაკობდენ, რომ უთუოდ პატარა ულფი დასძლევს პეერსაო.

სადაც არ უნდა წასულიყვენ მამა-შვილი, ყველგან წითელ ქუდიან ბავშვს შეხვდებოდენ. თითქმის ყველა ბალახის ბუჩქები იყო მათგან მოთიბული.

უწინ კაცები მეტის მეტი შიშით ყვირილს მოართავდენ

ხოლმე, რომ დაინახავდენ უფსკრულის თავზე წითელ ქუდა-ბიჭს, რომელიც ებღაუჭებოდა უფსკრულში კლდის ნაპირებს და გასაოცარი სიმარდით სჭრიდა იონჯას ან და შვრიას. ახლა-კი თან-და-თან შეეჩვიენ,

პეერის საქმე კი სულ ცუდათ და ცუდათ მიდიოდა; მხოლოდ სკრიპკის დაკვრით ჰკვებავდა ოჯახობას ზამთარში, თორემ შიმშილით დაიხოცებოდენ, ან სამათხოვროთ უნდა გასულიყვენ. გუდრიდა ქატოს და ხის ქერქს ურევდა ფქვილში. თუ შეხვდებოდათ ყოფნა ჯვარის წერაზე, ან და სატირალში, იმათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდათ და ღმერთს მადლობას სწირავდენ, რადგან მაშინ წმინდა ფქვილის პურს მაინც სჭამდენ.

II.

როდესაც პეერს შეუსრულდა ხუთმეტი წელი, მან დაიწყო პატრთან სიარული, ემზადებოდა საზიარებლად, პატრთან ის შეხვდა ულფს, ისიც საზიარებლად ემზადებოდა. ისინი ერიდებოდენ ერთმანეთთან ლაპარაკს, მაგრამ სხვა მოწაფეებმა, როგორც კი შეამჩნიეს, დაუწყეს დაცინვა და ცდილობდენ ერთმანეთში ჩხუბის ატეხას. პირველ შეხედვით გეგონებოდათ, რომ ჩხუბი ულფის დამარცხებით გათავდებოდა; პატარა პეერი ტანით მაღალი იყო; ქერა, ლურჯ თვალებიანი; ულფი კი პატარა და გამხდარი, თითქოს სუსტი და უღონოც იყო. ამ შავგვრემანის ყმაწვილის გამომეტყველება ეშმაკს და მხეცს მოგაგონებდათ, პირისახე ყოველთვის ფერმკრთალი, ჩაყვითლებული ჰქონდა. მოწაფეებს ეყვარდათ ულფი, როგორც მახვილი გონების პატრონი, და მოძრავი ბავშვი და თან კიდეც ეშინოდათ მისი. პეერი არაფრით არ განირჩეოდა სხვა ბავშვებისაგან; როგორც საზოგადოთ ყველას, მასაც შეეძლო ჩხუბი. ჩხუბის შემდეგ მალე შეურიგდებოდა და შური არ იცოდა, მას ხშირად წაეჩხუბებოდენ ხოლმე, მაგრამ ულფს კი ვერავინ უბედავდა ხელის ხლებას. ყველას ეშინოდა მისი და ყოველთვის ბავშვები ელოდენ, რომ პირველად მას პეერი შეებმებოდა.

პეერს სულაც არ უნდოდა ულფთან ჩხუბი. მას ეშინოდა ხოლმე პატრის სახლიდან მარტო წამოსვლისა და დიდი

სიამოვნებით გაიპარებოდა, რომ ამხანაგების დაცინვისა არ შერცხვენოდა. ჰეერი გაურბოდა ულფს, მაგრამ ერთხელ უეცრივ ისეთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც საქმე სულ სხვა ნაირათ დაატრიალა.

ორივენი კარგი მოწაფენი იყვენ. ჩვეულებისამებრ პირველ მოწაფეს პირველი ადგილი უჭირავს სამღვთო რჯულში გამოცდის დროს. ზიარების წინა დღეს თუ ბავშვს უჭირავს პირველი ადგილი, ის სასახელოა, როგორც მისთვის, ისე მისი მშობლებისთვის და ნათესავებისთვის. ყველას ეგონა, რომ პატრი ჰეერს მისცემს პირველობას. მართლაც, ყმაწვილის ნათელი და კეთილი სახე და მასთან მოფიქრებული პასუხების მიცემა მის პირველობას გვიქადდა.

ერთ დილას პატრმა ყველა მოწაფეები გაისტუმრა, მხოლოდ ულფი და ჰეერი დატოვა თავისთან გამოსაცდელად, თუ ვის უნდა დარჩენოდა პირველობა. მოხდა ისე, რომ ჰეერი უფრო უკეთეს პასუხებს აძლევდა ულფისაზე; პატრმა ორივე ბავშვი დაითხოვა. როდესაც ულფი კიბეზე ჩამოდიოდა, აღშფოთებული ჰეერის გამარჯვებით, მან თვალი შეასწრო უზარმაზარ კოხინხინის ჯიშის მამალს, რომელიც პატრს იმ ხანებში სხვა ქვეყნიდან გამოეწერა. ულფმა საჩქაროთ აიღო ქვა, მარჯვედ ესროლა მამალს და სული გააყრევინა. ეზოში ხმაურობა ატყდა, ულფი მივიდა პატრთან და დარწმუნებით უთხრა, რომ მან შენიშნა, როგორ ესროლა ჰეერმა მამალს ქვა. ჰეერი გაშრა, დანამდვილებით ვერას დააბრალებდა ულფს. მართალია ის ულფს უკან მიჰყვებოდა, კიბეზე რომ ჩადიოდენ, და არ დაუნახავს რა მოხდა ეზოში. ულფი პატრს შესცქეროდა ისეთი ლმობიერი თვალებით, რომ უდანაშაულო გეგონებოდათ, ჰეერი კი აირია და აღელვდა.

პირველობა გამოცდაზე ხვდა ულფს.

წინეთ გამოსული მოწაფეები სასაფლაოსთან უცდიდენ ამათ; უნდოდათ გაეგოთ, თუ რით გათავდებოდა მტრების შეტაკება. როგორც კი დაინახეს პირველათ ჰეერი და შემდეგ ულფი პატრის სახლიდან გამოსულები, შეეგებენ წინ და დაიწყეს ერთმანეთის წაქეზება.

— უთაქე! — უყვიროდენ ულფს. განა გეშინიან, რომ არ

— აბა პეერ! დაიწყე რაღა—ყვიროდენ მეორენი,—ნუ ხარ დოყლაპია! უჩვენე შენი მუშტები.

მოულოდნელად პეერი წამოიწია წინ, გაიძრო ხალათი, მიაგდო იქვე გზის პირას ბალახზე და შესძახა:

— დიაღ, დრო არის. მე მეტის მოთმენა არ შემიძლიან, ულფ, მოდი, შევებრძოლოთ, ჩვენ საჩხუბარი არ გამოგველევა.

ულფი არ დაძრულა ადგილიდან, ხმა ამოუღებლათ ისმენდა მტრის სიტყვებს, თავი ძირს ჰქონდა დახრილი, თვალები-კი იქეთ-აქეთ მიურბოდენ. ამხანაგებმა სიცილი დააყარეს. უცბათ ამანაც გადიგლიჯა ხალათი და სანამ პეერი გონს მოვიდოდა, ეტაკა მას და ვეფხვივით კისერში წაუჭირა. ეს ისეთი სისწრაფით და მოულოდნელად მოხდა, რომ პეერი წაბარბაცდა და კინაღამ ძირს დაეცა. მაგრამ პეერი მალე მოვიდა გონს, მოწინააღმდეგეს ხელი მხარში წაავლო, და ისე ღონივრათ ჰკრა ხელი და გადისროლა გვერდზე, რომ ულფი იძულებული იყო მის კისრიდან ხელი მოეშორებინა და ცოტას გაწყდა ქვით მოფენილ გზაზე არ დაეცა, ულფმა ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ წაქცეულიყო. მისი შავი თვალები ნაპერწკლებს ჰყრიდენ, იგი იმის ცდაში იყო, თუ როგორ ეცემა პეერი, მეტათ საგრძნობლად. ბოლოს ისინი ერთმანერთს მუშტებით მისცვინდენ. ულფი ისე მარჯვეთ იცდენდა მუშტებს და თანაც ისეთი მოხერხებულათ სცემდა პეერს, რომ მოწაფეებისთვის, რომლებიც გარს შემოხვეოდენ ამათ და თვალს ადევნებდენ, ჩხუბს აშკარათ ხედავდენ:—ძალა თუ ხერხი გაიმარჯვებდა.

პეერი ისეთი აღელვებული იყო, რომ ხუთმეტი წამის შემდეგ სრულიად დაიბნა და მუშტებს იქნევდა. უცაბედათ, საცა მოხვდებოდა. ულფი კი ადრინდელივით დამშვიდებული იყო და, როდესაც პეერი დაიქანცა და შეჩერდა, რომ სული მოებრუნებია, ის უეცრივ გვერდიდან ეტაკა და გადისროლა გზაზე. მოწაფეები დიდი ჟრიამულით მიეგებენ ულფის გამარჯვებას; აღტაცებით შეისვეს ზურგზე, გაეშურენ სოფლისკენ და თან ხმა მაღლა ყვიროდენ და მღეროდენ. მხოლოდ სამი თუ ოთხი ამხანაგი დარჩენ პეერთან და ცდილობდენ მის დამშვიდებას და ანუგეშებდენ; პირდებოდენ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხმარებითო შემდგ ჩხუბში. მაგრამ პეერი, თუმცა მათი გულკეთილობით მორბილდა, მაინც დახმარებაზე უარი უთხრა მათ, რომ აწი ულფთან მეტს აღარ იჩხუბებს.

ის მე მომერია,—სთქვა მან,—სულ ერთია,—ხერხით თუ ლონით. ყველა სარგებლობს იმით, რითაც შეუძლიან; მე გამოვიწვიე ის და ყოველივე ამისთვის სასტიკათ დავისაჯე.

პეერის მშობლების გულისწყრომა და მწუხარება ძნელი წარმოსადგენი იყო. როდესაც გაიგეს, რომ პირველი ადგილი გამოცდაზე ულფს ეჭირება. ძლიერ სამწუხარო იყო პეერისთვის, როდესაც დაინახა თავისი მოწინააღმდეგე, რომელიც ყველა მოწაფეების წინ იჯდა და ამაყათ გამოიყურებოდა. პატრს ალბათ ძლიერ ენანებოდა თავისი მამალი, რომ პეერი არა თუ მეორე, ან მესამე მოწაფეთ ჩარიცხა, იგი სუსტ მოწაფეებთან დასვა.

(შემდეგი იქნება)

ი. არ—ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მაკედონელი.

საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარეობს პატარა ლამაზი ქვეყანა, რომელსაც მაკედონია ეწოდება. მაკედონელები თავისი ჩამომავლობით ბერძნები არიან, ისინი წარმოადგენენ ბერძნების ერთ ტომს, ისე როგორც მეგრელები, სვანები, ხევსურები, აჭარლები წარმოადგენენ ქართველი ერის სხვა და სხვა ტომს.

უძველეს დროში ქრისტეს წინეთ საბერძნეთი მეტათ განათლებული, განვითარებული და დაწინაურებული ქვეყანა იყო. ძველი ბერძნების ხელობას, მწერლობას, ხუროთმოძღვრებას, მჭევრმეტყველებას საზოგადო და სახელმწიფო წყობილებას დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს განათლებული კაცობრიობა.

იმ დროს მაკედონია ჩამორჩენილი კუთხე იყო და დანარჩენ საბერძნეთს ვერ შეედრებოდა. მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე მაკედონიაში გამეფდა ალექსანდრე, რომელმაც თავისი მოქმედებით, თავისი ნიჭით მთელი კაცობრიობა გააოცა, განათლებული ევროპა და აზია ერთმანერთს დაუკავშირა, შეაერთა და ამით კაცობრიობის განვითარებას დიდი სამსახური გაუწია.

ალექსანდრეს მამას ერქვა ფილიპე, დედას ოლიმპია. ფილიპე საკმაოთ ნიჭიერი კაცი იყო, მთელი თავისი მეფობის დროს მისი მიზანი იყო მაკედონიის მოღონიერება, განათლება, განვითარება და საბერძნეთის ერის სხვა და სხვა ტომთა შეერთება. მას კარგათ ესმოდა, რომ ძალა ერთობაშია. ამიტომ მას უნდოდა მთელი საბერძნეთი ერთ კავშირში შეეკრა.

ძველ ბერძნულ ოჯახში ქალების განყოფილება ცალკე იყო, მამა-კაცებისა ცალკე. პატარა ბავშვები ქალების განყოფილებაში იზრდებოდენ. ექვს წლამდე ალექსანდრე ნიადაგ დედასთან იყო. მას საშინლად უყვარდა დედა და თავისი გამდელი—ლანიკა. ოლიმპია იყო გულკეთილი, განვითარებული,

Грузинскаго Общества Грузиновѣдѣнія. Тифлисъ. Грузія.

მაღალი გრძნობა-გონების ადამიანი და ნორჩი ალექსანდრეს ბუნებაზე მას დიდი გავლენა ჰქონდა. როდესაც ალექსანდრე მეშვიდე წელში გადმოდგა, ის გადიყვანეს მამა-კაცთა განყოფილებაში და მისი აღზრდაც მამა-კაცებს მიანდვეს. მისი აღმზრდელი—ლეონიდი მტერი იყო ყოველგვარი ფუფუნებისა და ნებივრობისა. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭიროა ზომიერათ ჭამა, ზომიერი ძილი, შრომა და გაჭირვების გამოცდა, ლეონიდი ხელმოჭერილი კაცი იყო და ფლანგვა არ უყვარდა.

ძველი ბერძნები სარწმუნოებით წარმართნი—კერპთაყვანის მცემლები იყვენ. თავის ღმერთებს ისინი მსხვერპლსა სწირავდენ. ერთხელ ალექსანდრემ სამსხვერპლოზე ორი მუჭა საკმეველი დაჰყარა. „როდესაც შენ ისეთი ქვეყნის მეფე გახდები, სადაც საკმეველი მოდის, მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი დაჰყარე სამსხვერპლოზე. ჩვენში-კი საკმეველი საყიდელია და გაუფრთხილდიო“,—შენიშნა მას ლეონიდმა.

პატარა ალექსანდრე მეტათ მარდი, ყოჩაღი, გამბედავი და შეუპოვარი იყო. თორმეტის წლისა იქნებოდა, როდესაც ერთი გიჟი ცხენი გაჰხედნა და მოათვინიერა. ერთმა თესალიელმა, სახელათ ფელონიკემ, ფილიპეს შემოუთვალა: ძალიან კარგი მერანი მყავს და იყიდეო.

ფილიპემ მოაყვანია ცხენი. ცხენი ძალიან კარგი აღმოჩნდა, მაგრამ მეტათ უზარ-მაზარი იყო და იმდენათ გიჟი, რომ არავის არ იკარებდა; ზედ შეჯდომა მეფის ვერც ერთმა მეჯინიბემ ვერ მოახერხა: ცხენი მაშინათვე ნესტოებს დაიბერავდა, დაიფრუტუნებდა და ყალყზე შედგებოდა. თუ კი ზედ ვერ შევჯდები რათ მინდაო, წარმოსთქვა ფილიპემ და ბრძანა: ცხენი უკანვე დაებრუნებიათ პატრონისათვის.

— ცხენი ძალიან კარგია, მაგრამ მეჯინიბეები არ ვარგანან! —წარმოსთქვა პატარა ალექსანდრემ.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს იმათზე მეტი გესმოდეს ამ საქმეში!—შენიშნა ფილიპემ.

— ამ ცხენის გახედნას მე იმათზე უფრო მოვახერხებ!—წარმოსთქვა ალექსანდრემ.

— რას მომცემ, რომ ვერ გახედნო?—დაეკითხა ფილიპე.

— მაგ ცხენის ფასს!—მიუგო შვილმა.

შვილის სიტყვებზე ფილიპემ გულიანათ გადიხარხარა.

გაგულისებული ბავშვი მიუახლოვდა ცხენს და სტაცა აღვირში ხელი. როდესაც მეჯინიბეები ცხენზე ჯდებოდენ და ცხენი კი არ იკარებდა, ბავშმა შენიშნა, რომ ცხენს მისივე ჩრდილი აფრთხობდა და აგიჟებდა. ამიტომ ალექსანდრემ სწრაფათ მოატრიალა ცხენი მზისაკენ, რომ მას თავისი ჩრდილი ველარ დაენახა, წაუძღვა წინ, გაარბენია პატარა მანძილი, თან ეფერებოდა და მკერდზე ხელს უსვამდა; შემდეგ მოახტა ზედ და მიუშვა სადავე. ყოველივე ეს ისე სწრაფათ მოხდა, რომ სანამ ბავშვს მიეშველებოდენ, ცხენი გავარდა და მალე მიიმალა. ფერ მიხდილი გაჰყურებდენ ყველანი მინდორს და ბავშვის გადარჩენას აღარ ელოდენ. გაიარა რამდენიმე ხანმა და შორს გამოჩნდა ალექსანდრე: ის უკან მოაჭენებდა ცხენს, რომელიც საკმაოთ მოქანცულიყო და აღარა ფრთხებოდა. როდესაც სახე გაბრწყინებული ბავშვი ცხენიდან გადმოხტა, ფილიპეს სიხარულისაგან ცრემლები გადმოსდინდა:

„შვილო, შენი ნიჭის შესაფერისი სამეფო მოსძებნე, თორემ მაკედონია შენთვის პატარა არისო“,—მიმართა მან გამარჯვებულ ალექსანდრეს და ჩაიკრა გულში. ამ ცხენს სახელათ ერქვა ბუცეფალი და ალექსანდრეს განსაკუთრებით შეუყვარდა.

როდესაც ალექსანდრეს ცამეტი წელი შეუსრულდა, იმის აღსაზრდელათ ფილიპემ მოიწვია საბერძნეთის გამოჩენილი მეცნიერი და ფილოსოფოსი არისტოტელი. ოთხი წლის განმავლობაში არისტოტელი იყო ალექსანდრეს მასწავლებელი. „არისტოტელმა მასწავლა, თუ როგორ უნდა ღირსეულათ ცხოვრებაო“, ხშირათ იტყოდა ხოლმე ალექსანდრე შემდეგ. თავისი დროის მეცნიერება და მწერლობა ალექსანდრემ არა თუ ზედ მიწევნით შეისწავლა არისტოტელის ხელმძღვანელობით, შეიყვარა კიდეც. საბერძნეთის გამოჩენილი პოეტი იყო ჰომიროსი, რომლის საუკეთესო ნაწარმოებს—ილიადას—ალექსანდრე განუშორებლათ თან ატარებდა და მაშინაც კი, როდესაც მტერთან საბრძოლველათ ემზადებოდა, ღამით ილიადას კითხულობდა.

საბერძნეთის ყველაზე მეტი მტერი იყო სპარსეთი, რომელიც იმ დროს ძლიერსა და დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ფილიპეს მთელი მეცადინეობა იმაში გამოიხატებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საბერძნეთი გაერთიანებულიყო მაკედონიის მეთაურობით; მაშინ სპარსეთიც ველარასფერს დააკლებდა. ფილიპეს ბევრი მტერი ჰყავდა, ბევრიც მომხრე. განათლებულ და გავლენიან ბერძნებში ზოგი თანაუგრძნობდა იმის მიზანს, სხვები-კი იჭვის თვალით უყურებდენ: ჩაგვიტყუებს, გაძლიერდება და გაგვიბატონდებაო. საბერძნეთი ორ ბანაკათ გაიყო: ერთი ფილიპეს მომხრე იყო, მეორე მტერი. ამ ნიადაგზე რამდენჯერმე სისხლის ღვრაც-კი დატრიალდა, მაგრამ ბოლოს ფილიპემ გაიმარჯვა.

სამოცდა თექვსმეტ წელს ქრისტეს დაბადებამდე ფილიპე მოულოდნელათ გარდაიცვალა მაკედონიის ტახტი დარჩა ალექსანდრეს, რომელიც ამ დროს ოცის წლისა იყო.

საბერძნეთის ერთ ქალაქში კორინთში შესდგა კონგრესი საბერძნეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებისა. აქ განაახლეს კავშირი და უფროსათ, კავშირის მეთაურათ აირჩიეს ალექსანდრე.

საბერძნეთში და მაკედონიაში მშვიდობიანობა იყო.

საბერძნეთის კეთილდღეობისათვის საჭირო იყო სპარსეთის დამარცხება. მაგრამ ეს იმდენად ძნელი საქმე იყო, რომ გამოჩენილ ბერძნებს ოცნებათ მიაჩნდათ. ალექსანდრემ გადასწყიტა სპარსეთზე გალაშქრება. მაკედონიის ჩრდილოეთით სცხოვრობდენ, მთიულები-ფრაკიელები, ტრიბალები, რომლებიც მაშინათვე თავს დაესხმოდენ მაკედონელებს, რაკი ალექსანდრეს გარეთ დაიგულებდენ. ამიტომ ალექსანდრემ ჯერ ამ მხარეს მიაშურა თავისი ჯარით. მთებში მას შეტაკება მოუხდა ფრაკიელებთან, რომლებიც სასტიკათ დაამარცხა.

მთებს გადაღმა დაბლობში სცხოვრობდენ ტრიბალები, რომლებმაც ალექსანდრეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდენ. ამ გამარჯვებამ ალექსანდრეს დიდი სახელი მოუპოვა. სხვა-და-სხვა ერებმა მაშინათვე გაუგზავნეს მას თავისი დესპანები და მორჩილება და მეგობრობა გამოუცხადეს.

ალექსანდრემ თითქმის ნახევარ წელიწადს დაჰყო სამშობლოს გარეთ. იმისმა მოწინააღმდეგებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და საბერძნეთის სხვა და სხვა კუთხე ალექსანდრეს წინააღმდეგ აამხედრეს. თვითონ სპარსეთის მთავრობაც არა-

ვითარ ქრთამს არ ერიდებოდა, რომ ბერძნები ალექსანდრეს გადადგომოდენ. და მართლაც ბევრგან იფეთქა აჯანყებამ. აჯანყების მიზანი ის იყო, რომ საბერძნეთის კავშირის უფროსობა ალექსანდრესათვის ჩამოერთმიათ და ის თავიდან მოეშორებიათ. აჯანყებამ განსაკუთრებით იფეთქა ქალაქ თებაში, სადაც ბევრი მაკედონელი დაჰხოცეს. როგორც კი გაიგო ეს ამბავი ალექსანდრემ, მაშინათვე ზავით შეეკრა მთიულებს და დანარჩენ მოსამზღვრე ერებს და მოაშურა საბერძნეთს; დღე და ღამე იარა, და ორი კვირის განმავლობაში გაჩნდა თებას მიდამოებში და დაბანაკდა ქალაქის მახლობლათ. ალექსანდრეს არ უნდოდა ქალაქის აღება და უბრალოთ სისხლის დაღვრა და ელოდა დესპანებს გამომიგზავნიან და მოვრიგდებითო. მაგრამ მოქალაქენი გაჯიუტდენ და მორიგებაზე სრული უარი განაცხადეს.

სპარსეთის შამოსევის დროს თებამ საბერძნეთს უღალატა; მტერს მიუდგა. მას აქეთ ბერძნები და მაკედონელები ზიზღითა და მტრულის თვალით უყურებდენ ამ ქალაქს. გაბრაზებული შეესია მას ალექსანდრეს ჯარი, დაამარცხა მოქალაქენი, ქალაქი აიღო და მთლათ აიკლო. თებაში წინეთ სცხოვრობდა გამოჩენილი პოეტი პინდარი. ალექსანდრემ ბრძანება გასცა—პინდარის სახლს ხელი არ ახლოთო.

მოქალაქეთა უმრავლესობა მონებათ გაჰყიდეს. ამგვარი სისასტიკე ერთის მხრით შედეგი იყო თებაელთა ღალატისა სამშობლოსადმი. მეორე მხრით მათი სასტიკი დასჯით ალექსანდრეს უნდოდა სხვების შეშინება: თუ საბერძნეთის კავშირი დაირღვეოდა, სპარსეთის დამარცხება შეუძლებელი იყო და თება მსხვერპლი იყო, რომელსაც ალექსანდრე თავისი მიზნის განხორციელებას სწირავდა.

ძველ საბერძნეთში მონობა ძალიან გავრცელებული იყო. დამარცხებულებს მონებათ ჰყიდდენ. მონა ხან იაფი იყო, ხან უფრო ძვირი. ყოველ შემთხვევაში შვიდ თუმანს არ აღემატებოდა, ბევრჯერ სამათაც იყიდებოდა. მონებათ გაყიდვაში გარჩევა არ არსებობდა: განათლებულს და გაუნათლებელს, უბრალოსა და წარჩინებულს—ყველასა ჰყიდდენ. მხოლოდ განათლებული მონა მეტსა ჰფასობდა.

თებას მაგალითმა თავზარი დასცა ათინას, ძველი საბერ-

ძნეთის უმთავრეს ქალაქს, სადაც ალექსანდრეს წინააღმდეგ უკვე დაწყებულიყო აჯანყება. ათინელებმა მაშინათვე გაუგზავნეს ათი წარჩინებული პირი, და მიართვეს მილოცვის ქალალდი: ვმადლობთ ღმერთს, რომ მშვიდობით დაბრუნდით და მტერი სასტიკათ დაამარცხეთო. ამგვარმა მელურმა პირმოთნეობამ ალექსანდრეს სისხლი აუმღვრია, მან დახია ქალალდი და გადაჰყარა. როდესაც დამშვიდდა, ალექსანდრე შეურიგდა ათინელებს, მიმართა მათ გონივრებას, სთხოვა დახმარება მთელი ბერძნების სამშობლოს სახელით საერთო მტრის სპარსეთის დასამარცხებლათ და დაბრუნდა სატახტო ქალაქ პელაში. აქ ის შეუდგა მზადებას და 334 წელს ქრისტეს წინეთ გაემართა სპარსეთის წინააღმდეგ. ალექსანდრე ამ დროს იყო ოცდა ერთის წლისა. მიუხედავათ თავისი ახალგაზდობისა, ის იყო მეტათ გონიერი, გამჭრიახი, შორს მჭვრეტელი, გულადი, შეუპოვარი და შეუდარებელი სარდალი, გადაავლებდა თუ არა მოპირდაპირის ბანაკს თვალს, ის მაშინათვე შენიშნავდა მტრის ყველაზე უფრო სუსტ მხარეს, მთელის ძალ ღონით იქ მიიტანდა იერიშს და მტერს უკუაქცევდა. ისეთი სარდალი, როგორიც ალექსანდრე მაკედონელი იყო, კაცობრიობის ისტორიამ სამიოდე თუ იცის. ნიჭთან და სიმამაცესთან ერთათ ის იყო კეთილშობილი: ყველაზედ მაღლა აყენებდა თავის სამშობლოს კეთილდღეობას და ყოველისფერს თავის თავს, თავის სიცოცხლესაც მას სწირავდა მსხვერპლათ. ზოგიერთ სხვა გამოჩენილ სარდალს კი, როგორც მაგალითად ცეზარს ან ნაპოლეონს, რაკი ბედი გაუღიმებდა, სამშობლო ავიწყდებოდა და თავისი თავი ღა ახსოვდა.

ალექსანდრეს ჰყავდა მეტათ გაწრთვნილი, დახელოვნებული ცეცხლსა და რკინაში გატარებული ჯარი და ამიტომ ის უშიშრათ მიდიოდა სპარსეთზე. ალექსანდრეს ამ დროს ჰყავდა სულ ოცდახუთმეტი ათასი ჯარის კაცი: ოცდაათი ათასი ქვეითი, ხუთი ათასიც ცხენოსანი. ფულათ ჰქონდა ასორმოცდაათი ათასი მანეთი, რაც დღევანდელი ომიანობის დროს ერთ დღეს თუ შეინახავს ჯარს, ხომალდები ალექსანდრეს მხოლოდ ოცამდე ჰქონდა.

ახლა მივმართოთ სპარსეთს. სპარსეთი იმ დროს უდრი-

და ორმოცდა ათ მაკედონიას, ხაზინაში ელაგა მრავალი ასი მილიონი; მთავრობას შეეძლო ერთი მილიონი მეომარი გამოეყვანა ბრძოლის ველზე და ზღვაზე დამზადებული იყო ძლიერი ფლოტი.

ოცდახუთმეტი ათასი კაცით, ასორმოცდაათ ათასი მანეთითა და ოციოდე ხომალდით ოცდა ერთის წლის ალექსანდრემ გაილაშქრა ასეთი მტრის წინააღმდეგ. ბერძნები ალექსანდრეს ნაბიჯს ეჰვის თვალით უყურებდენ, ახალგაზდობის მოუფიქრებლობას აწერდენ; სპარსელებს კი სიცილათაც არა ჰყოფნიდათ, ოცდახუთმეტ ათას კაცს ქუდებით ამოვხოცავთო.

რაც კი რამ ჰქონდა ალექსანდრეს, სულ თავის ჯარის კაცებს დაურიგა, რომ მათ არაფერი დაჰკლებოდათ.

— შენთვის რაღას იტოვებ მეფე?—ჰკითხა მას ერთმა სარდალმა.

— ჩემს იმედებს! ამაყათ მიუგო ალექსანდრემ.

მაკედონიაში ალექსანდრემ თავის მოადგილეთ დასტოვა მოხუცი სარდალი ანტიპატრი და დაუტოვა მას ცამეტი ათასი მეომარი. ალექსანდრე მოადგა ხმელთა შუა ზღვის იმ ალაგას, სადაც დარდანელია. აქ ზღვა მეტათ ვიწროა და მეორე ნაპირზე გადასვლა ადვილია. ალექსანდრემ გადასხა თავისი ჯარი მცირე აზიაში.

მცირე აზიაში ზღვის პირზე გაშენებული იყო ბერძნების ახალშენები, რომლებიც სპარსეთს ემორჩილებოდენ. ალექსანდრეს მისვლას ისინი სიხარულით შეეგებენ, რადგანაც იმედი მოეცათ: იქნება სპარსეთის ქვეშევრდომობიდან გაგვანთავისუფლოსო.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ ალექსანდრეს გარეგნობასაც. ძველ აღწერილობას გარდა ჩვენ დროამდე მოაღწია ალექსანდრეს ქანდაკებამაც.

ალექსანდრე იყო საშუალო ტანის, მკვრივი და კარგათ მოყვანილი, თმა ჰქონდა მეტათ სქელი, ხუჭუჭი და ქერა, წარბები სქელი, თვალები ცისფერი და ღრმა, ცხვირი სწორი და მაღალი. ნიკაპი წინ წამოწეული. საერთოთ იმისი სახე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა ხანდა-ხან უცებ იცოდა ალექსანდრემ გაბრაზება და ამ დროს ის სასტიკი იყო, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ საერთოთ ის იყო გულკეთილი, მოყვარული, მხიარული, კეთილშობილი, პატიოსანი, თავმოყვარე და ძლიერი ნების ადამიანი.

როგორი წყობილება არსებობდა ამ დროს საბერძნეთში? საბერძნეთში გამეფებული იყო დემოკრატიული მმართველობა. ყოველგან საზოგადო საქმეებს განაგებდა ადგილობრივი თვითმართველობა, რომელიც შესდგებოდა ხალხის მიერ არჩეული პირებისაგან. პირად თავისუფლებას, პირად თაოსნობას აქ დიდი ალაგი ჰქონდა დათმობილი.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)



ბიძიას ნაამბობი.

ლევან სვიმონის ძე მსარგძელიძე.



ემი ძმის წერილი და ჩვენი უფროსის მოქმედებანი მაიძულებენ ორიოდე სიტყვით მაინც გაგაცნოთ ამ უკანასკნელის ყოფაცხოვრება... ჩვენი საყვარელი ლევან სვიმონის ძე როდის დაიბადა და რა თვეში მოინათლა ამის შესახებ არა ვიცი რა, ან რა საინტერესოა თქვენთვის ამის გაგება!.. გეტყვით მხოლოთ, რომ ლევანი იყო შვილი ხელთუბნელი მთავრის, წვითა და დაგვით გამოზარდა მან თავისი შვილი და ამ უკანასკნელმაც ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა სწავლაში, რომ მაღალ-სასწავლებელშიაც კი გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლათ... რამდენი ხანი იყო იგი იმ სასწავლებელში, ან დაამთავრა თუ არა მან ეს სასწავლებელი — ამის შესახებაც მე არავითარი ცნობა არა მაქვს, მე მხოლოთ ის ვიცი იმის შესახებ, რომ დღეს იგი ჩვენი სასწავლებლის უფროსია და ისე მარჯვეთ მიჰყავს საქმე. რომ ყველა გაკვირვებულია, და ჩვენ ხომ, მისი მოწაფეები— სულ მთლათ გატაცებული ვართ მისი გულკეთილობითა.

ლევანი მაღალ-მაღალი გამხდარი კაცია; შავი თმა, ოდნავ ჭაღარა გარეული, უმშვენებს მის შავგვრემანს გამხდარ სახეს; თვალები პატარა და ცოცხალი, მუდამ მოელვარე; სახის გამომეტყველება კეთილი და ზრუნვით აღბეჭდილი; დადის წყნარათ, მუდამ დაღვრემილია როდესაც მარტოკაა,— როდესაც ჰხედავს ვისმე, მეტადრე მოწაფეს, სახე ეხსნება, დანაოჭებული შუბლი დარდის ნიშნებს ჰკარგავს და მისი სახე სიყვარულისა და სიხარულის ნათელსა ჰფენს; მუდამ მოძრავი, მზრუნავი, მომქმედი — ერთს საათს არ ჩერდება და არც სხვები ასვენებენ მას: მისი სახლი სულ მუდამ სავსეა ხალხით, იგი ყველას ხელს აწვდის, ყველა დავრდომილს გაჭირვების ოფლსა სწმენდს, ყველაზე ზრუნავს. არც ერთი საქმე არა

კეთდება უამისოთ, არც ერთი საზოგადო საქმე არ არის, რომ ლევანის მადლიანი ხელი არ გაერიოს... ერთი სიტყვით ლევანი გამომხატველია ჩვენი ჭირ-ვარამისა, სულის-ჩამდგმელია საერთო საქმისა... მაგრამ ამას თქვენ თვითონ გაიგებთ, როდესაც სწავლითა და გულით გამზადებულნი გამოხვალთ ცხოვრების მოედანზედ და კრიტიკის საცერში გაატარებთ ყველა იმას, რაც რამე გაუკეთებიათ ჩვენ მოღვაწეებს ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ... ეხლა მინდა ის გაგითვალ-წინოთ — თუ რა გაუკეთებია ლევანს სკოლაში... რა არის სკოლა ჩვენი ლევანის აზრით? სკოლა არის ადგილი, სადაც უნდა სუფევდეს ზნეობითი სიფაქიზე, აუდიტორიაა, სადაც უნდა კეთდებოდეს და მუშავდებოდეს ის პაწაწინა არსება, რომელსაც ბავშვი ჰქვიან. რა იდეალს უნდა ემსახურებოდეს? სკოლამ უნდა აღზარდოს, ლევანის აზრით, ბავშვები მოქნილი და განვითარებული სხეულით, რომ ჯან-საღმა სხეულმა დაუბრკოლებლივ შეითვისოს ის, რაც შესათვისებელია სკოლაში და მის გარეთ; რომ ბავშვის გული მტკიცე და შეუდრეკელი იყვეს, მისი გონება სწავლითა და ცოდნით აღჭურვილი; რომ ბავშვმა თავისი მრჯელობითი, ნიჭით, შემდეგში რაიმე გამოიკვლიოს და მეცნიერებას, ან ხელოვნებას დიდი რამ შესძინოს; რომ ახალგაზრდა მოღვაწის ისე ძლიერათ ჰქონდეს განვითარებული მჭერმეტყველობითი ნიჭი, რომ მას შეეძლოს გადაცემა თავისუფლათ, ძლიერათ თავისი აზრებისა და გრძნობებისა ლოგიკისა და გრამმატიკის მხრივ; რომ მისი სული მიისწრაფოდეს მაღალი იდეალისაკენ და ემსახურებოდეს ჭეშმარიტებას, სიმართლეს და სიმშვენიერეს; რომ გრძნობები და სურვილი ისე გაერთიანებული ჰქონდეს, რომ ადვილათ შეეძლოს თავისი ცოდნა ცხოვრებაში გამოიყენოს; რომ იგი ისე ძლიერათ განვითარებულ იყვეს, რომ დაუბრკოლებლივ შეეძლოს ემსახუროს და მტლათ დაედოს თავის ქვეყანას, სამშობლოს და სოფლის ისტორიაშიც კი თავი თვისი ჩაიწეროს. ამ მიზნამდის მისაღწევათ ლევანის აზრით საჭიროა, რომ თვით ხელმძღვანელი იყოს გონებითა და მეცნიერებით აღჭურვილი, შემკული კეთილშობილური მისწრაფებით, განსპეტაკებული მაღალი გრძნობით და გულითა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი ნამდვილი მაგალითი იყვეს ბავშვისათვის, ყველაფერი მისაბაძი,

შესათვისებელი, რომ ადვილათ შეეძლოს ბავშვის ბუნების გაგება, მის ნაკლულევანებისა და სუსტი მხარეების აღმოჩენა და მის გასაქარწყლებით საშუალების ადვილათ მოპოება.

აი ეს იყო იდეალი ჩვენი ლევანისა, ასე უცქეროდა იგი სკოლის მნიშვნელობას და თვითონაც ცდილობდა ეს იდეალი განეხორციელებინა თავისი პირადი მოქმედებით. აქ მას ბევრი დაბრკოლებები გადაეღობა, ცხოვრების სიბნელემ მოინდომა ნათელის გაფანტვა, მაგრამ ბევრხნობით ვერ დააკლეს რა მის ნათლიან გზას, მის მტკიცე გულს, მის გამჭრიახს და ცოდნით სავსე გონებას: იგი მტკიცეთ ებრძოდა შემფერხებელ პირობებს, იზიდავდა ჩინებულ თანაშემწეებს საბრძოლველათ და დღეს მისი ხელმძღვანელობიო გამოზრდილი ახალგაზდობა ნათელს ჰფენს სამშობლო მხარეს და მიილტვიან იმ ხიდზედ სავლელათ, რომელიც ლევანმა განაშენა სკოლისა და საზოგადო ცხოვრების შესაერთებლათ. ნეტარ არს ქვეყანა, რომელსაც ასეთი ბელადი მოევლინება; ნეტარ არს დედა-მიწა, რომელზედაც ასეთი ყვავილი აღმოცენდება!..

1 მარტი.

დღეს მზიანი დღეა... ახლოვდება გაზაფხული და მზის სხივებს ძალა ემატება: მთებზე თოვლი დნება და ხევები იმსება წყლით... ფრინველებს გაუთბათ ძვლები და ამკობენ არე-მარეს თავისი „ჟივ-ჟივით... ადამიანმაც მოიფშვნიტა ზამთრისაგან დავალალებული თვალები, მოიხსნა ზამთრის შესამოსი, თბილ კერას მიანება თავი და გარეთ გამოვიდა... ამას დღეიდან ბევრი რამ საზრუნავი აქვს: აათვალ-ჩაათვალიერა სახნის-საკვეთი, გუთანს ფრთები მიუმაგრ-მოუმაგრა, ყველა იარაღი წეს-რიგში მოიყვანა, გადიწერა პირ-ჯვარი და მისი ზამთარში დასვენებული ჯანი შეუდგა მუშაობას... ჩვენც გვეცა გაზაფხულის სუნი და ოთახებში ყოფნა აღარ გვინდა და ჟივილ-ხივილით ვამსებთ ჩვენი სკოლის უშველებელ ეზოს... რა კარგი რამე ხარ, გაზაფხულო! რა სამართლიანი და სათნოიანი ხარ! ყველას გულს უთბობ, სიხარულს აძლევ ყველას. მდიდარსაცა და ღარიბსაც იმედს ანიჭებ და ამისთვისაც არის, რომ ყველა შენ გაქებს, ყველა შენ გამკობს დიდი და პატარა, მდიდარი და გლახა, სულიერი და უსულო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს პირველათ მოგვიხდა გარეთ თამაშობა... ცარცით წრე შემოავლეს ჩვენმა ბელადმა ბიჭებმა და დაიწყეს ჩალიჩიანება... ჯერ დიდებმა დაიწყეს თამაშობა და პატარეები კი შორი ახლოდან უყურიან... ყველა პირველობას ჩემულობს, ყველას ენდა თავის გამოჩენა, მეტადრე ორნი—ბეჟანაშვილი და შაქრო უგრეხელიძე ებრძვიან ერთმანეთს, ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე. ოფლი თქრიალით ჩამოსდით, სახეს ჭახჭახი გააქვს, ჩალიჩის ტკაცა-ტკუცი შორს ისმის... ბევრმა ვერ გაუძლო ამ ჩალიჩის ძალას და დანებდა მოწინააღმდეგეს... წრეში მხოლოთ ბეჟანაშვილი დარჩა თავისი ჩალიჩის დასაცველათ, გარს უვლის უგრეხელიძე და ცდილობს ბეჟანაშვილის დამარცხებას, მისი ჩალიჩის წრიდან გამოტანას, მაგრამ ბეჟანაშვილი მაგრათ უდგას, არაფერს ეპოება, იცვამს თავის ბინას, ქშინავს, იწვის, იდაგება, კანჭები ეწვის, ფეხები ებეჟუება... ჩვენ ცქერათ ვართ გადაქცეული... ორივე მარჯვე ბიჭია და ჩვენ გვინდა, რომ მორიგებით გათავდეს ეს თამაშობა.. როგორც ვატყობდით ბოლო არ ექნებოდა ამ ორთ-ბრძოლას, რომ გარედან არ შემოსულიყო ჩვენი უფროსი და არ ეთქვა ჩვენთვის: შედექით, ყმაწვილებო! მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მაგრე კარგათ ატარებთ დროს, მაგრამ თქვენს ახლო კენესა ისმის, წივილ-კივილი, იღუპება ერთი ოჯახი, მის სახლს ცეცხლი მოსდებია და იქ მყოფთ შველა უნდა, წავიდეთ და რითაც შეგვეძლება უშველოთ... წამოდექით, დიდნო მოწაფენო და გამომყევით! აბა თქვენ იცით როგორც მასახელებთ! თქვენი მასწავლებლებიც იქ არიან და ებრძვიან ცეცხლს, ეს სიტყვები ისეთი ხმით იყო ნათქვამი, ისეთი დაბეჯითებითი კილოთი, რომ ყველა დიდებათ გადაიქცა და ყველამ ერთხმათ შეჰყვირა: მე, მე, წამოვალ, ჩემო მასწავლებელო! —მე უშველი ყველას!—მე წყალს მოუტან... დიდებს დავეხმარები—ისმოდა აქეთ-იქით ხვეწნა—მუდარა! ლევანს ამ სანახაობით ნათელი მოეფინა სახეზედ, სიხარულის ცრემლი დაეძრა თვალებიდან და წამოიძახა: რა კარგი რამა ხართ, ჩემო გვრიტებო! ამოარჩია 30-მდე მიწაფე და წაგვიყვანა იმ უბედურობის ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა გმირი.

ჩვენ შორს არ მოგვიხდა წასვლა... ათი წუთი არ გასულიყო რომ ჩვენ უკვე იქ ვიყავით... ისე თქვენს მტერს გაეგმიროს ლახვრით გული, როგორც ჩვენ გაგვეგმირა და დაგვიდარდიანდა გული ამ სანახაობით... დურგალი მიხა მაისურაძის სახლი იწოდა; წვითა და დაგვით აშენებული პატარა ორ-სართულიანი სახლი... აქ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი... ყვირილი, ღრიანცელი გაისმოდა... ყველას შველა უნდოდა, ყველას გული ერჩოდა, ყველა შეერთებულიყო ერთი გრძნობით — ბოროტიცა და კეთილიც და საერთო ძალით ცდილობდა შველას, ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, სახლს ჭახა-ჭუხი გაჰქონდა, მინების მსხვრევა ესმოდა ჩვენს ყურებს... ქარი ჰქროდა და ცეცხლი უფრო ძლიერდებოდა... ისეთი ტირილი, გმინვა ისმოდა, ისეთი შემაძრწუნებელი გმინვა, რომ კაცის გული ვერ იტანდა ამ სანახაობას... მეჯადრე აუტანელი და შემაწუხებელი იყო ერთი თავშიშველა, თმა აწეწილი დედა-კაცის ღრიალი და წივილ-კივილი... იგი ყველასა სოხოვდა, ყველას ემუდარებოდა დაეხსნათ, ეშველათ რამე მისი პატარა ვანოსთვის, რომელიც შეუმჩნეველათ ოთახში დარჩენილიყო და გზა-კვალი ვერ გამოეკვლია — იქიდან გამოსულიყო...

— ქრისტიანებო! მიშველეთ!... ნუ მომიკლავთ ჩემს შვილს, ნუ დასწვამთ დედის გულს, ნუ დაჰსერამთ დედის ძუძუებს... მიშველეთ... დამიხსენით ჩემი პაწაწა ვანო... ნუ, ნუ მომიკლავთ... ღმერთისთვის არა დამიშავებია-რა... მიშველეთ... ძუძუ მეწვის... თავი... ნუ მოჰკლავთ... ვანო! აგე ვანო... ჩემი ვანო!... სკოლაშია ვანო!... ხა! ხა! ხა!.. გადიხარხარა გულშესაზარავი ხმით და იქვე დაეცა საცოდავი. ჩვენმა უფროსმა განკარგულება გასცა და ის დედა-კაცი სადღაც წაიყვანეს და ჩვენ შეუდექით საქმეს... ჩვენი უფროსი და მასწავლებელნი ყველა ღონესა ღონობდნენ, როგორმე დაეხსნათ ის საცოდავი ბავშვი, მაგრამ ძნელი საქმე იყო მისი დახსნა, რადგანაც ირგვლივ სახლს ცეცხლი მოსდებოდა და დაბრკოლებას აძლევდა შესულიყო ვინმე იქ... გული კვდებოდა, სული გვეხუთებოდა, ცრემლი ვერ შეგვეკავებინა იმ დედა-კაცის ცოდვით, ჩვენი სკოლის პატარა მოწაფის ასე უდრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოთ დაკარგვით... ძნელია კაცისთვის ასეთი მდგომარეობა— შველა გინდოდეს და ვერ უშველო, საქმე ვერ მოაგვარიანო! მწუხარებას სამზღვარი არ ჰქონდა! უფროსი და მასწავლებლები დიღს საგონებელში და სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ, ველარასა გრძნობდნენ, მსჯელობის უნარიც კი დაკარგეს და ერთი ერთმანეთს-ღა შეჰყურებდნენ...

ამ დროს ზევითა სართულის ბალკონიდან ჩამოგვესმა ვილასიც ხმა— „მომაშველეთ ან თოკი, ან კიბე... ბავშვი ცოცხალია და უვნებელი... მიშველეთ, აბა ჩქარა მიშველეთ... ჩვენ ყველამ ზევით დავიწყეთ ყურება და მალე ვიცანით ჩვენი შაქრო უგრეხელიძე. ეს პატარა გმირი, ეს შესანიშნავი ყმაწვილი როგორ, რა გვარათ ასულიყო ზემო-სართულში და თავისავე პაწაწინა არსება დაეხსნა განსაცდელისგან! თოკი მალე აუგდეს შაქროს, მან მოაბა ჯვარედინათ თოკი და ჯერ კიდევ—გულ-შელონებული და ბოლით დარეტიანებული ვანო ჩამოუშვა ძირს... ამ ხანობაში ცეცხლის გამქრობი რაზმიც მოვიდა და იმ წამსვე შეუდგა შაქროს დახსნასაც... კიბე გააკეთეს, ერთი კაცი ავიდა ზევით, მოჰკიდა შაქროს ხელი, წამოიყვანა ძირს და მეტი სიმძიმისაგან ასცდა საფეხურს და ორივე ძირს ჩამოვარდა... ჩვენი ბედი, რომ არც ისე მაღლიდან ჩამოვარდენ, თორემ ვერც ერთი სიკვდილს ველარ გადურჩებოდა... რაზმის კაცი ცოტათი დაშავდა, შაქროს ფეხი ელრძო და ბევრი ვაი ვაგლახის გამოვლილს გული შეუწუხდა და ჩვენმა უფროსმა ხელებში ჩაისვენა... ორივე სკოლის საავათმყოფოში გაგზავნეს და ექიმი მახვილაძის წყალობით მალე გამოკეთდენ... ჩვენს შაქროს ცოტათი ფეხი დაუშავდა და ცოტათი კოჭლობა დაიწყო... შაქრო არაფრათ აგდებს ამ მდგომარეობას... მისი გული დაკმაყოფილებულია, სავსეა ზეციური მადლით... ყველა ამას შეჰხარის, ყველას იმისი ნახვა უნდა, მისი საგმირო საქმის გაგონება... დღეს შაქრო ბედნიერზედ ბედნიერია, მაგრამ ყველაზედ ბედნიერათ ჩვენი ლევანი გრძნობს თავსა, რადგანაც მიხვედრილია, რომ მის აღზრდის სისტემა უნაყოფოთ არა რჩება, რომ ყოველ-შემძლებელ აღზრდას შეუძლიან ბევრი გმირი დაანახოს ქვეყანას და ერთი მაგალითი ამგვარი აღზრდისა თვალ წინა აქვს... ბედნიერი ხარ, ლევანო, დღეს შენ და ბედნიერია ნაყოფი საქმისა შენისა!

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება.)

უჩინარი და ჩეკის ოდენა მცენარეები.



სადაც დევ-გმირები ცხოვრობენ იქ შეიძლება ქონდრის კაცებიც შეგხვდესთ; ასეც არის მცენარეთა სამეფოში. მარწყვის პატარა ბუჩქი ნამდვილი ნეკის ტოლაა საკვირველ დევ-გმირ ბაობაბთან, პაწია ლამაზი სამყურა, რომელსაც ხშირად ნახავთ ჩვენ ტბებში ნამცეცის ოდენა არის შედარებით დიდებულ ველინგტონიასთან, მაგრამ არც მარწყვის ბუჩქი, არც პაწია სამყურა არ არიან ნამდვილი უჩინარი მცენარეები. ამათ კარგათ გაარჩევს თქვენი გამჭრიახი თვალები, მაგრამ არის ისეთი საკვირველი პაწაწა მცენარეები, რომლის დანახვა თქვენ არ შეგიძლიათ, და თუ ძალიან მოისურვებთ მათი ნახვა-გასინჯვას, უნდა ჩაიხედოთ გამადიდებელ შუშაში, რომელსაც მიკროსკოპს ეძახიან. სად არ არიან ეს პატარა, უჩინარი მცენარეები? ჰაერში, წყალში მიწაში, ცხოველების სხეულში, ხის ქერქში, ადამიანის ტყავ ქვეშ, ნაგავში, ლეშში, ყველგან, ყველგან ურიცხვს შეხვდებით—ამ უჩინარ მცენარეებს.

ხომ გინახავთ ობი? ეთუოთ შეხვედრილხართ, მწვანე და მოთეთრო ბუმბულს დაფარულ ნოტიო სარდაფებში და ღარიბი ხალხის სადგომების კედლებზე. ეს ობი არის პაწაწა უჩინარი მცენარეები, რომლების გარჩევა მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით შეგვიძლია. აბა ვნახოთ მიკროსკოპში: ავიღოთ დანის წვერით ერთი ბეწო ობი, დავდოთ მიკროსკოპის შუშაზე, დავასხათ მას ერთი წვეთი წყალი და ჩავხედოთ, როგორი უცნაური ველ-მინდორი გადაგვეჭიმება თვალ-წინ! განა შეგეძლოთ წარმოგედგინათ? აბა, დააკვირდით! ამ საუცხოვო მინდორზე სხვა და სხვა ჯიშის მცენარის ბუჩქებია გა-

ფანტული, ზოგი მაგათგანი ძრიელ მოგვაგონებენ ქუდიან სოკოებს...

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეს მცენარეები, რომ-



ობი გამადიდებელ შუშის ქვეშ.

ლიდანაც შესდგება ობი, კიდევ დღევ გმირებათ ჩაითვლებიან იმ უჩინარ საოცარი მცენარეთა შორის, რომლებსაც „ბაკტერიები“ ეწოდება. რა სასაცილო რამ არიან ეს ბაკტერიები! ზოგი მათგანი ისეთი პაწაწინები არიან, რომ მათთვის ერთი წვეთი წყალი სწორეთ ისეთი არის, როგორც ჩვენთვის მთელი ჩვენი ქალაქი. როგორც ჩვენ ქალაქში თამამათ მოთავსდება 10—20 ათასი კაცი, ისე იმ ერთ წვეთ წყალში იმოდენიმე ბაკტერიებია.

მოყვანილობით ბაკტერიები სრულებით არა ჰგვანან მცენარეებს. მათ არც ღერო აქვსთ, არც ფესვები, არც ტოტები შემოსილნი ფოთლებით; ზოგი მათგანი ემგზავსებიან გრძელ წვრილ ძაფებს, ზოგი მოკლე ჯოხებს, სხვები მრგვალ ბურთებს. ბახტერიები ფერითაც განსხვავდებიან ერთი მეორესაგან. მაგრამ მათში შესანიშნავი არც მოყვანილობა და არც ფერი არ არის, შესანიშნავია მხოლოდ მათი უცნაური დამმრღვევი, შთანმთქავი თვისება ცხოველებისა.

ავიღოთ დამპალი ხორცი. რა არის ამის დალპობის მიზეზი? უთვალავი ბაკტერიები, რომლებიც შესევიან ხორცს და სრულებით გაუხრწნიათ იგი. აბა გაშინჯეთ ციმბირის (язва) ავათმყოფობით მკვდარი ცხენი, ან ჭირით მომკვდარი ძროხა, ქათამი, ცოფით—ძაღლი, ყველა ამათი სიკვდილის მიზეზი არიან სხვა და სხვა ბაკტერიები; მოიკალათებენ ცხოველის სხეულში, მილიონობით დასეირნობენ არხეინად სისხლში და საში-

ნელი სისწრაფით მრავლდებიან, ხრწნიან სრულიად ცხოველის სხეულს, თავის შხამით სწამლავენ სისხლს, რომლის შედეგი არის საშინელი ტანჯვა-წვალებით ცხოველების სიკვდილი.

ყვავილი, ხუნაგი, ქუნთრუშა, წითელა... — ყველა ეს საშინელი ულმობელი სენია, რომლის წყალობით არა ერთი და ორი ბავშვი ესალმებიან წუთ-სოფელს, ამ ბოროტი ბაქტერიებისაგან არის გამოწვეული ეს ავათმყოფობა. ბევრი, ძრიელ ბევრი ვნება შეუძლია მოუტანოს და მოაქვს კიდეც კაცობრიობისათვის ამ შესახედავათ, უმნიშვნელო უჩინარ — ბაქტერიებს.



ბ ა ქ ტ ე რ ი ე ბ ი.

არიან კიდევ ისეთი ბაქტერიები, რომლებიც სასარგებლონი არიან ადამიანისათვის. ზოგი მათგანი ბინავდება ადამიანის ნაწლევებში და შველის მის საჭმლის მონელებას. ზოგი მიწის ნიადაგში ბუდობენ. იქ ესენი ფუსფუსობენ, ალპობენ მკვდარი მცენარის ფესვებს, ღეროებს და ფურცლებს, რომელიც შემდეგ უერთდება ნიადაგს და ანოყიერებს მას. ამისთანა ნიადაგი ჩინებულ მოსავალს იძლევა.

ზოგიერთი ბაქტერიები სწორეთ სასწაულთ მოქმედნი არიან. აბა წარმოიდგინეთ შემდეგი სურათი: ზამთარია, ირგვლივ ყველაფერი დაფარულია თოვლით, თოვლი ათას ნაირად ბრჭყვიალებს ზამთრის მზის სხივებზე! ყოველგან გადაპენტილია თეთრათ, დალამდა. გათენდა კიდეც, მაგრამ დახე საკვირველებას! თოვლი, ეს გუშინ მშვენიერი თეთრი, სპეტაკი თოვლი, დღეს ვიღაცა უჩინარ ხელს მოურწყავს სისხლით! სისხლის თოვლი მოსულა წუხელიო! უნებლიეთ შეჰყვირებთ. იაიდან მოგვევლინა ეს საკვირველება! ვაი თუ რამე უბედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მომასწავებელი იყვეს ეს უცნაური ბუნების მოვლენა? ფიქრობს ცრუმორწმუნე ადამიანი. მაგრამ არავითარი საშიშო ამაში არ არის, ამის მიზეზი კიდევ უცნაური ბაკტერიებია ღამე წყნარმა ქარმა მოიტანა ამ თოვლით დაფენილ ადგილზე მტვერივით ერთი ნამცეცა თესლი უჩინარი მცენარისა. თესლი დაცვინდა თოვლზედ და მაშინვე გაღვივდა და რამოდენიმე საათის განმავლობაში აღმოცენდა მთელი მილიონები პაწაწკინტელა წითელი სოკოებისა, რომლებიც ისე სწრაფათ გამრავლდენ, რომ დაფარეს არე-მარე და გადაჰკრეს თოვლს წითელი ფერი. იქ სადაც სოკოები ძალიან ბლომათ შეჯგუფულან თოვლზე ისე სჩანს, თითქო დაჰკვეთილი სისხლი გადუსხამთო.

მეორე კიდევ შესანიშნავი შემთხვევა. ბნელ, ღრუბლიან ღამეში მონადირე ბრუნდებოდა ტყით სახლში, უეცრად რაღაც უცნაურმა შუქმა ტყეში მიიპყრო მისი ყურადღება, მონადირე შეჩერდა, დაუწყო ცქერა, აშკარათ ხედავდა თავის წინ სინათლეს. წავიდა მისკენ და წააწყდა მსხვილ, ბებერ დამპალ კუნძს, რომელიც ანათებდა მკრთალი მომწვანო ფერით; მოსტეხა პატარა ნაჭერი კუნძს, დახედა რომ კუნძის ნაჭერიც ანათებს; კუნძს ახლო წყლით დაუწყო ჩიჩქნა მიწას, შეხედა— მიწაზე აგერ-ეგერ ნაპერწკლებივით დაიწყო ბრწყინვა რაღაცამ. საიდან წარმოსდგა ეს უცნაური სინათლე? აი რა არის: დამპალ ხეში და მის ახლო-მახლო მიწის ნიადაგში დაბინავებულიყვენ მრავალნი ბაკტერიები, რომლებიც აშუქებდენ სწორეთ ისე, როგორც ჩვენი კარგი ნაცნობი ციცინათელა. ბნელაში რომ დაუკვირდეთ კარგათ—შენიშნავთ, რომ დამპალი ხორციც ანათებს.

აგრეთვე ანათებენ შეგროვილი ფოთლები, დამპალი ხილი და ყველა ამის მიზეზი არის ბრწყინავი ბაკტერიები.

იტა ნაკაშიძე.

ჯეკი

ცეცხლის მჭრელი რაზმის ძაღლი.

VIII.

ად იყო ამ დროს ტობი? უკანასკნელათ როცა ვნახეთ ის ისე კარგათ და თბილათ იყო, რომ არსად წასვლა აღარ უნდოდა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ და ისიც არ აწუხებდა იმათ. როდესაც ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ ის თავის დიასახლისთან რჩებოდა. იგი საკერავსა ჰკერავდა და ტობი-კი გვერდით უჯდა და შესცქეროდა. როცა-კი საკერავს თვალს მოაშორებდა და შეხედავდა, ის ადგილიდამ წამოვარდებოდა, კუდს გაიქნევდა და უღიმოდა, ძაღლს ღიმილი შეუძლია. როცა კი დიასახლისი დაელაპარაკებოდა, მაშინ ტობის ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: სკამებზე ხტოდა, დარბოდა, ხელებს ულოკავდა.

როცა ბავშვები სახლში ბრუნდებოდნენ ტობი მაშინ სრული ბედნიერი იყო. კიბეზე ფეხის ხმა რომ ატყდებოდა, ის ყურებს აცქვეტდა და კუდის ბოლოს ააქნევდა ფეხის ხმა რაკი ახლოვდებოდა და ეჭვი აღარ იყო, რომ ბავშვები არიან — წამოვარდებოდა, მთელ კუდს ააქნევდა და კარებს ეცემოდა: წკმეოდა, ხტოდა, იკლაკნებოდა.

ჯონი და ორივე ქალი სადილობამდინ ქუჩაში გაიყვანდნენ ხოლმე, რომ იქ ირბინოს და ითამაშოს. რასაკვირველია ეს სეირნობა მინდორ-ველზე სირბილი არ იყო, როგორც სოფელში, მაგრამ აქაც დიდის სიამოვნებით დახტოდა, მეტადრე როცა მთელი დღე პატარა ოთახებში იყო ‹აკეტილი.

ტობისთვის ყველაზე ძნელი და სამძიმო ის იყო, რომ ბავშვების მამას უნდა დამალოდა. როცა მამის ფეხის ხმას კი გაიგონებდნენ ბავშვები ძაღლს ჯონის პატარა ოთახში შეი-

ყვანდნენ და ჩაკეტავდნენ. სანამ მამა სახლში იყო იქ უნდა მჯდარიყო ჩუმათ. ღამე, რასაკვირველია, ძნელი არ არის, შეგიძლიან თბილათ დაიძინო. დღისით კი ამისთანა მოუსვენარ ძაღლისთვის ბნელ ოთახში ჯდომა ძალიან ძნელი ასატანია.

მოკრიალებული ცივი დღე იყო. ჯონმა ტობი სასეირნოთ წაიყვანა, მაგრამ ისეთი ცივი ქარი იყო, რომ ცხვირ პირი გაუყინდა. მალე სახლში დაბრუნდნენ. კიბეზე ტობიმ გემრიელი საჭმლის სუნი იგრძნო და შურდულივით კიბეზე აფრინდა. როცა ოთახში შევიდნენ ტობიმ კუდი გაიქნია დიასახლის შესაცქეროდ და ტუჩებს ილოკავდა

— ნუ ღელავ, მოიცა — უთხრა დიასახლისმა ალერსით — ცოტა მოიცა ვახშამსა ვჭამთ და შენც შენი წილი გერგება. ტობიმ კარგათ იცოდა რომ ის თავის სიტყვას არას დროს არ გადასთქვამდა, თითონაც რომ უვახშმოთ დარჩენილიყო.

ვახშამს მიუსხდნენ, ტობი ხან ერთს და ხან მეორეს შესცქეროდა; უცბად დედამ წამოიყვირა:

— მამა მოდის! მალე ჯონ, ძაღლი დამალე!

ჯონმა ტობი მოიტაცა და თავის ოთახში შეიყვანა ბნელაში მარტო დატოვება შეეცოდა და ცოტათი კარები ღია დასტოვა, რომ ტობის არ მოსწყენოდა.

— მამა დღეს, ბავშვებო, ძალიან დაღალულია, უთხრა ჩუმათ დედამ — წყნარათ იყავით, არ იგიჟოთ, პატარა დაისვენოს.

ბავშვებმა იცოდნენ რომ როცა „მამა დაღალულია“ იმას ნიშნავს რომ ის გაჯავრებულია და ტყუილ უბრალოზე ღელავს. დედა კი რაც უნდა დაღალული ყოფილიყო ამასთან ცელქობა მაინც შეეძლებოდა. „მამა დაღალულია“ იმას ნიშნავს რომ თვალებში ნუ ჩაეჩხირებით და მოერიდეთ. მამას ასე ადრე არ მოელოდნენ და დედამ იმისთვის ვახშმის დამზადება ვერ მოასწრო და რაც მზად იყო ყველას უნდა ეჭამათ. ბავშვებს ჩვეულებრივზე ნაკლები ლუკმა ერგოთ და ტობისთვის დატოვება ძალიან უჭირდათ. საწყალმა მერიმ ჯერ კარგა დიდი ნაჭერი დასტოვა, უყურა, უყურა და კიდევ შეჭამა, ბოლოს ერთ თხილის ოდენა ძლივსღა დარჩა. მერე იფი-

ქრა, რომ ამ პატარა ნაჭერში ტობი არაფერ გემოს არ ჩაატანს და სულერთიან შეჭამა. დედამ ნახა რომ საწყალ ძაღლს ერთობ ცოტა საჭმელი რჩება, სხვების შეუმჩნევლათ თავის კერძიდამ ტობისთვის გადიღო.

ყველანი ჩუმათ იყვნენ, ბოლოს მერიმ ველარ მოითმინა, იმას დიდხანს გაჩუმება არ შეეძლო.

— იცი, დედა, ჩვენ სკოლასთან ახლოს დღეს ცეცხლი გაჩნდა,—სთქვა მან, — მთელი ქალაქის მჭრობელნი მანქანები მოგროვდა. გახსოვს დედა ის ძაღლი, რომელმაც, როცა ჩვენსა ცეცხლი გაჩნდა, ბრმა ბილლი იპოვნა? ის ძაღლიც იქ იყო, მე მივეფერე და იმან ლოყები ამილოკა.

— ის უთუოდ ცეცხლის მჭრობლებთან ცხოვრობს, — თქვა დედამ და სუფრიდამ საინების ალაგებას მოჰყვა. — მე გამიგონია, რომ არიან იმისთანა ძაღლებიც, რომლებიც ცეცხლის მჭრობლებთან ცეცხლის გასაქრობათ მიყენებული არიან.

მერე კოვზი აიღო და საინზე დანარჩენ საჭმელს ტობის ჯამში მოუყარა თავი. ტობიმ ნაცნობი ხმა გაიგო, იცოდა რომ აი ეხლა დიასახლისი დაუძახებს და წინ საჭმელს დაუდგამს. ოო! ტობიმ ვერ მოითმინა, იმას დაავიწყდა სიფრთხილე. თათით კარები გააღო, კიბე ჩამოირბინა და ყეფით შიგ პურის საჭმელ ოთახში შემოვარდა.

— ეს რა ამბავია? აქ საიდამ გაჩნდა ძაღლი?—დაიყვირა მამამ.

ბავშვებს შეეშინდათ, ვერავინ პასუხის მიცემა ვერ გაბედა, მარტო დედამ აუხსნა ამ ძაღლის აქ ყოფნის მიზეზი.

— ბავშვებმა ქუჩაში იპოვნეს, სთქვა მან. ის ისეთი მშიერი იყო და საცოდავათ კანკალებდა. მე ნება მივეცი სახლში შემოეყვანათ. ის ისეთი კარგი და ჭკუიანი ძაღლია, რომ არავის არაფერს გვიშლის.

— არ გიშლისთ?—დაიყვირა მამამ—ჭამა ხომ უნდა! მა'მ მე წელ აუღებლივ იმიტომ ვმუშაობ, რომ ამისთანა საზიზღარ ქნილებას ვაჭამო?

— ის ისე ცოტასა სჭამს,—უპასუხა დედამ.—თითონ ბავშვები თავიანთ კერძიდამ უტოვებენ საჭმელს.

ტობიმ მარტო ეხლა იგრძნო თუ რა წინდაუხედველათ

მოიქცა, როდესაც ეს ჯავრიანი ხმა გაიგონა სულ აკანკალდა და ერთ ადგილას მიიკუნტა.

— ამ წუთაში გაადგეთ!—დაიყვირა მამამ, წამოვარდა, კარები გააღო, ტობი შეშინებული გამოვარდა, მაგრამ მან მოასწრო და ძაღლს ერთი წიხლი წაჰკრა კიდევ.

შეშინებული ფინია ქუჩაში გავარდა, არ იცოდა რა ექნა, სად წასულიყო. საშინლათ ციოდა, საღამოობით როდესაც ისა და ჯონი დასეირნობდნენ ასე არ შესცივნია, ის დარბოდა და გემრიელ ვახშმის მოლოდინში სიცივეს არა გრძნობდა. ეხლა სულ სხვა საქმეა? სად წავიდეს. ამისთანა საშინელ ცივ ღამეში მშიერ-მწყურვალე? ღონე არ მოსდევდა. ტობის თავისი წინანდელი საკუჭნაო მოაგონდა, გარეთ დარჩენას კიდევ ის ამჯობინა.

და საკუჭნაოში შეძვრა, იმ კუთხეში მივიდა, საცა თივა ეფინა, იქიდამ უშველებელი ვირთაგვა გამოვარდა.

საბრალო თივაზე დაჯდა და ჩაფიქრდა, თბილი სამზარეულო მოაგონდა, ბავშვები, რომელნიც ტიროდნენ, ეს რომ გამოაგდეს; დიასახლისი, რომელმაც მომზადებული ვახშმის მიცემა ვერ მოასწრო.

ტობის გული ნაღვლით აევსო, შიმშილით მუცელი უგრიალებდა, ის კუთხეში მოიკუნტა და ცდილობდა გამთბარიყო, მაგრამ სიცივე თან დი თან უჭერდა.

— შეიძლება კიდეც გავიყინო, ფიქრობდა ის —როგორც კი გათენდება, უნდა აქედამ გავიქცე.

უცბათ ნაცნობ-ფეხის ხმა მოესმა.—ეს მგონი დიასახლისი მოდის, გაიფიქრა ტობიმ.

საკუჭნაოს კარები გაიღო და მართლაც დიასახლისი შემოვიდა.

— საწყალო ფინიავ! მოდი ჩემთან!

— აქა ვარ, დაიყეფა ძაღლმა, ერთი ნახტომით იმასთან გაჩნდა და ხელებს დაუწყო ლოკვა.

— საცოდავო, პაწიავ! აი საჭმელი მოგიტანე, უბედურო.—სთქვა კეთილმა ადამიანმა და თან ჯამი დაუდგა.

პური, კარტოფილი, წვენიც—ყველაფერი იყო. მერე სულ თბილი. რა გემრიელი იყო, ტობის გულ მუცელი გაუთბა.

კეთილმა ადიმიანმა კუთხეში რალაც თბილი ნაჭერი გაუფინა, დააფარა, კიდევ ცოტა ხანს მიუალერსა და წავიდა.

როცა ტობი მარტო დარჩა, ქარი ისევა ჰქროდა და ყინვა უჭერდა, მაგრამ ძაღლი მაინც ისე მარტოობას არა გრძნობდა.

მალე ჩაეძინა და როცა გამოიღვიძა კიდეც გათენებულიყო.

IX.

სამა შობის წინა დღით ძალიან ადრე ადგა და ტანთ ჩაცმა დაიწყო.

— მე დღეს ძალიან ბევრი საქმე მაქვს, იძახდა ის და სულ საჩუქრებზე ლაპარაკობდა.— ყველაზე ძვირფასს საჩუქარს მე ჩემს თავს უმზადებ,— გაათავა მან.— შენ ხომ იცი უთუოთ რაზედაც ვლაპარაკობ?

— ჰო, როგორ არა, უპასუხა გამდელმა, ეტლზე არა, რომ ცხენი შეაბა და ისეირნო.

— სრულებითაც არა!— წამოიყვირა სამამ უკმაყოფილებით.— არა, უფრო კარგი, ბევრათ უფრო კარგი! წარმოიდგინე რომ ბილლის თვალები აეხილება.

— რა კარგი იქნება,— სთქვა, გამდელმა.

პაპას ეს ლაპარაკი ესმოდა და ძალიან შესწუხდა.

— რა ვქნათ, რა უყოთ ამ ბავშვს? რჩევასა ჰკითხავდა ბებიას. უნდა უთუოთ აუხსნათ, რომ როცა ბილლის ექიმები ოპერაციას გაუკეთებენ, თვალები მარტო მაშინ აეხილება. ჩვენ აქნობამდინ არაფერი არ აგვიხსნია და ის სრული დარწმუნებულია, რომ შობას ბილლი უთუოდ დაინახამს. უთუოდ უნდა მოველაპარაკოთ.

— მეც მაგრე ვფიქრობ, — სთქვა ბებიამ.

ამ დროს აღელვებული სამა ოთახში შემოვარდა.

— უნდა დავეჩქარო რომ საღამომდინ ყველა ჩემი საქმეები გავათავო,— სთქვა გადაწყვეტით. იცი დიდედა, ეხლავე უნდა წავიდეთ სავაჭროთ.— ჩვენ უნდა შობის ხე და იმის მორთულობა ვიყიდოთ. ბილლისაც უთუოდ ერთი პატარა შობის ხე უნდა უყიდოთ?

— არა სჯობია რომ ეგ ფული უფრო სხვა სასარგებლო რასმეზე დავხარჯოთ. ბილლი მაგით ვერ ისიამოვნებს, რადგან ვერა ხედავს.

— როგორ არ გესმის, ბებია, იმას ხვალ თვალები აეხილება. განა ჩემი საშობაო საჩუქარი დაგავიწყდა?

— ჩემო ს,ყვარელო, უთხრა ბებიამ, მაგრე დარწმუნებული როდი უნდა იყო, რომ ბილლის უთუოდ შობას აეხილება თვალები.—იქნება უფრო გვიან მოხდეს.

— არა, არ შეიძლება, სთქვა სამამ. — აი შენ თითონ ნახამ,— სთქვა და ოთახიდან გავარდა ისე, რომ ბებიამ ახსნა ვერც კი მოასწრო.

როგორც კი ჩაი გაათავეს, ბებია და შვილი-შვილი ეტლში ჩასხდნენ და ბაზარში წავიდნენ.

თუმცა ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ ქუჩები ხალხით იყო სავსე. სუყველას სახე ებრწყინავდა. მაღაზიის სარკმელები ბრწყინვალე ფერად-ფერად საშობაო ხის მორთულობით იყო მოწყობილი, ყველა სარკმელთან აუარებელი ხალხი იდგა და ათვარიელებდა. ბებიამ ერთ მაღაზიასთან გააჩერებინა ეტლი. იქ მშვენიერად მორთული შობის ხე იდგა და დიდი უშველებელი თეთრ ბამბასავით გაჭაღარებული შობის პაპა.

ამ ფანჯარასთან იმოდენა ხალხი იყო მოგროვილი, რომ გავლა ძნელი იყო. ყველას უნდოდა ენახა პაპას რა საჩუქრები ეჭირა ხელში სახვალიოდ. აბ ხალხში სამი პატარა ბავშვი: ერთი ვაჟი და ორი ქალიც იყვნენ. ფეხის თითებზე დგებოდნენ, რომ დაენახათ რამე.

ვაჟმა უკან მოიხედა და ეტლსა და სამას თვარიელება დაუწყო.

— ყური დამიგდე, მერი,— თქვა ვაჟმა და თავის პატარა დას ხელი ჩაჰკრა,—გახსოვს ის ბატონი, რომელმაც შაქრის პურები გვაჩუქა?

— როგორ არ მახსოვს,— უპასუხა მერიმ.

— აი სწორედ ეს ეტლი იყო, ის ყმაწვილი და ცხენები, რა ქუდიც ეხურა ისიც კი დამამახსოვრდა.

სამას ბებიამ იმათი ლაპარაკი გაიგონა და დაუძახა.

— შენ იძახი, რომ ეს ვაჟი კიდეც გინახავს?

— დიახ, ერთხელა ვნახეთ, უპასუხა ჯონმა.

— აი სწორედ იმ დროს იყო, როდესაც ამასთან ის ბატონი იყო, რომელმაც მშვენიერი შაქრის პურები გვითავაზა, — წამოილაპარაკა მერიმ.

— მართლაც რომ ძალიან გემრიელი რამ იყო, - დაუმატა და სიამოვნებით ტუჩები გაილოკა.

უფროსმა დამ მერის კალთა ჩამოსწია.

— მე ხომ არა ვთხოვ არაფერს, რომ კაბას მწევ, — ხმა მაღლა უთხრა მერიმ, ბებიამ გაიღიმა.

— იქნება დღესაც გინდოდესთ შაქრის პურები? — ჰკითხა მან.

— რასაკვირველია, — უპასუხა ყველას მაგივრად მერიმ. — მე კი ის თოჯა უფრო მომწონს.

— მერი, მერი, — საყვედურით უთხრა ანნიმ. — როგორ არა გრცხვენიან?

— რათა? ჰკითხა მერიმ. — ეს ქალბატონი მკითხავს და მეც უბასუხებ. მე ხომ არაფერს არა ვსთხოვ.

— ჰო, ჰო, ჩემო პატარავ! აქ გასაკიცხი არა არის რა! — სთქვა მოხუცმა.

— სადა დგეხარ, მერი?

მერიმ თავისი ბინა აუხსნა.

ბებია ეტლიდამ ჩამოვიდა და მაღაზიაში შევიდა. მშვენიერი თოჯა, წიგნების აბგა და ლამაზი კარგი მარხილი ამოარჩია და გამყიდველს სთხოვა, რომ ყველა ესენი იმ სახლში გაეგზავნათ, რომელიც მერიმ ანიშნა

— არ გახსოვს, სამა, გინახავს როდესმე ეს ბავშვები?

— პო, მგონია ეს ის ბავშვები არიან, პაპამ რომ შაქრის პური ჭყიდა.

ბოლოს საშობაო ხეების ბაზარში წავიდნენ. აქ ხეებით, ოქროს და შეეერცხლილი ქაღალდებით, შეოქრულ კაკლებით, ვარსკვლავებით სავსე იყო და აუარებელი ხალხი ირეოდა. პატარა მოშორებით ფერად-ფერად სანოვაგებს ჰყიდნენ.

— მოდი საშობაოთ იმ ბავშვებს გემრიელი სანოვაგეც გაუგზავნოთ! უთხრა ბებიამ შვილი — შვილსა.

— ოჰ, რა კარგი იქნება! როგორ იამებათ და გაუკვირ-
დებათ.

სამამ თითონვე რაც უფრო გემრიელი ხილი იყო ამოარა-
ჩია და ესეც მერის ნაჩვენებ სახლში გაგზავნეს.

ნავაჭრი ეტლში ჩაალაგეს და სახლში დაბრუნდნენ.

საუზმის შემდეგ სამამ განლოცს და ბილის საჩუქრები
წაუღო, ისინი სალტუმრო ოთახში ისხდნენ. გამდელი ჰკერავ-
და და რაღაც ამბებს უამბობდა. ბილლის აქაურობა ძალიან
მოსწონდა, ისეთი მწუხარე შეხედულება აღარა ჰქონდა. სამა
საჩუქრებით ოთახში შევიდა.

— დღეს არამც და არამც ეს შეხვეული ნივთები არ უნ-
და გახსნათ,— უთხრა მან და სკამზე დააწყო

— ნუ გეშინიან არ გავხსნით, აბა რა სასიამოვნო იქნე-
ბა დღესვე ვიცოდეთ, ხვალინდელი საჩუქარი,— სთქვა გამ-
დელმა.

სამა ცოტა ხანს დარჩა, ძლივს მოასწრო ეამბნა თუ ამ
დილით სად იყო, რა ნახა, ბამბასავით ჭაღარა საშობაო პაპა
თავის საჩუქრებით რასაკვირველია არ დაავიწყდა. ისიც უთხრა,
რომ პატარა ბავშვები ნახეს, როგორ ბებია დაელაპარაკა,
უმცროსმა უთხრა რომ იმას ძალიან უნდა, რომ პაპამ საშო-
ბაოთ თოჯა მოუტანოს. ბილლი გულმოდგინეთ ყურს უგ-
დებდა. იცი, ვინ არიან ეს ბავშვები?— ჰკითხა ბრმამ.

— არა, სრულებით არ ვიცი, მარტო ის ვიცი, რომ უმ-
ცროსს მერი ჰქვიან.

— მართლა?— წამოიყვირა ბილლიმ.— მეც სამი ბავშვი
მივლიდა, როდესაც დედა ჩემი წაიყვანეს. პატარა ქალს მერი
ერქვა. იქნება ისინი არიან?

— შესაძლებელია,— უპასუხა სამამ.

რადგან ბილლის ბავშვის ნიშნების აწერა ვერ შეეძლო,
ამიტომ სამამ დანამდვილებით არ იცოდა, ბილლის ნაცნობი
იყვნენ თუ არა.

— თუ კიდევ შევხვდი,— სთქვა სამამ, უთუოდ ვკითხამ
თუ ის ბავშვები არიან, რომელთაც შენ იცნობ.

როდესაც სამა მოდიოდა კიდევ გაუმეორა რომ საჩუქრე-
ბი ხვალამდის არ გახსნან. დერეფანში კი როდესაც გამდელი

გასაცილებლად გამოჰყვა, ყურში ხმა მაღლა უამბო, ბილლის რა საჩუქარი მოუტანა, ცეცხლის მჭრობელი მანქანა, რომელიც წყალს ასხამს. იცი ამ მანქანით ყვავილების მორწყვაც შეიძლება. ნამდვილი მანქანაა ცეცხლი რომ აანთონ და წელი მოაბან ზედ.

ამ სიტყვებით სამა ქუჩაში გავარდა.

X.

იმ ღამეს სამა რომ დაწვა ფანჯრებს ფარდა არ ჩამოაფარა, რომ ადრე გაჰღვიძებოდა და მართლაც დილაზე, როდესაც გამდელი შემოვიდა, ის კიდეც იცვამდა და საჩუქრებს ათვალიერებდა

— ესე ადრე, რათ წამომხტარხარ? გაუკვირდა გამდელს.

— იცი, მე ეხლავე ბილლისთან უნდა წავიდე და ვნახო.

— რას ამბობ! წამოიყვირა გამდელმა.—ასე ალიონზე, სად უნდა წახვიდე? იმას ჯერ კიდევ ეძინება, მერე ამისთანა ყინვაში და სიცივეში გარეთ გასვლა როგორ შეიძლება. ჩაი დალიე, მანამ მზე ამოვა, ცოტა გათბება და მერე ერთად წავიდეთ.

— არა, არა! აღელვებული იძახდა სამა, ტყუილათ ნუ მიკავებ. როგორ შეიძლება რომ ეხლა ბილლის ეძინოს. მალე ჩემი თბილი ჩასაცმელი და ქუდი მომეცი.

— ბებიას ეწყინება, როცა გაიგებს რომ ასე ადრე წასულხარ. მერე რო იცოდე ჩვენმა მზარეულმა დედაკაცმა ჩაისთვის რა გემრიელი ხაჭაპურები მოამზადა.

— ჩემთვის სულ ერთია, მე ყველაზე წინ ბილლი უნდა ვნახო, გესმის! იმათი სახლის გზა კარგა ვიცი და მე თითონაც წავალ.

გამდელი ბევრს ემუდარებოდა და არწმუნებდა სამას, მაგრამ ის მაინც თავისას იმეორებდა. ბებიასთან და პაპასთან შესვლას ვერ ბედავდა, რადგან იმათ ჯერ კიდევ ეძინათ. სამა ისე აღელვებული იყო, რომ მეტი ჩარა არ იყო, გამდელმა ჩააცვა და ორივე ერთად წავიდნენ.

ცივი ზამთრის დილა იყო, მზე ახალად ამოდიოდა. რაკი უქმე იყო, ყველანი უფრო დიდხანს ისვენებდენ, და ქუ-

ჩებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. სიცივისაგან ბელურებიც კი თავთავიანთ ბუდეში ისხდნენ.

სამა და გამდელი ისე ჩქარა მირბოდნენ, რომ სიცივისაგან სული ეგუბებოდათ. ბილლი ჩაცმული იჯდა სავარძელში და თავის სათამაშო მანქანას ხელებით შინჯავდა. მისი თვალები კი შორს გაიყურებოდნენ. სამა როგორც კი შევიდა, ბილლის დააშტერდა, მერე უფრო მიუახლოვდა და დაკვირვებით შეხედა.

— ბილლი, დაიყვირა მან, განა მანქანას შენი თვალებით ვერა ხედავ?

— არა,—მხიარულათ უპასუხა ბავშმა. მე ხომ ვიცი როგორიც არი. შენ კარგა იცი, რომ ხელებითა ვგრძნობ.

— შენ მართლა, ვერა ხედავ, ვერ არჩევ ვერც იმის ლამაზს წითლათ შეღებილ ბორბლებს და ბრჭყვიალა რკინას! ბილლი, ჩემო საყვარელო გაშინჯე, კარგა დააკვირდი, ეცადე, იქნება დაინახო.

— არა,—ალერსით უპასუხა მან,—არა, არ შემიძლია, შენ მიამბე ამ მანქანაზე, როგორც ყოველთვის და მერე ერთად ვითამაშოთ.

სამას სახე უცბათ შეეცვალა, გაფითრდა და ტუჩები აუკანკალდა. მოხუცმა გამდელმა იგრძნო, რომ ბავშვი შეწუხებულია: მოეხვია, უნდოდა მოჰფერებოდა და ენუგეშნა. ის ხელიდამ გამოუსხლტა, დერეფანში გავარდა და ქუჩაში გაიქცა. შეშინებული გამდელი უკან გამოუდგა და ძლივს ასწრობდა, არც ხვეწნამ და არც მუდარამ ის ვერ შეაჩერა. მარტო სახლის კარებთან გაჩერდა.

ბებია ჩაის დალევას აპირებდა, რომ აღელვებული სამა მასთან შევარდა. იმას გაუკვირდა.

— ბებია, — წამოიყვირა,—არა, აღარას დროს, აღარას დროს აღარ ვილოცამ, ღმერთს აღარ შევევედრები! არას დროს, მინამ ცოცხალი ვარ!

— სამა, შვილო, ჩემო მშვენიერო, რა დაგემართა, რას ამბობ? შეშინებული სთქვა ბებიამ.

— არა დროს! ბილლის თვალები არ აეხილა, მე კი ისე ვეველრებოდი! გამდელმა მითხრა რომ მე ეხლა ჩემი ცხენისთვის პატარა ეტლიცა მაქვს, არაფერი არ მინდა! მე მარტო ის მინდოდა, რომ ბილლის სინათლე დაენახა! სამას გული ამოუჯდა, სავარძელში ჩაჯდა და ატირდა.

ეკ. მესხისა.

(შემდეგი იქნება)



მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

სახალხო გაზეთი

ყოველდღიური სპორტიკულ და სალიტერატურო გაზეთი
მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети".

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье"

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ . . .	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода . .	3 р. 50 к.	На полгода . . .	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ჯეჯილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მეორე წელიწადი.

მიიღება წელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოდგა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

ხიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს,

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას,

ბათუმში—მიჩეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ.**

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.